

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

ახალი ამბები
საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

უცხოელი ეთნომუსიკოლოგები
სუზან ციგლერი

ქართული სიმღერის მოამბეები
პოლიკარპე ხუბულაგა

ქართული სიმღერის უცხოელი
შემსრულებლები
ტრიო „ზარი“ კანადიდან

ახალი ქართული ფოლკლორული ანსამბლი
„ბოლნელა“

უცხოური მრავალხმიანობა
ეპირის ტრადიციული ისო-მრავალხმიანი
სიმღერა

ექსპედიციის დღიური
ექსპედიცია კლარჯეთში

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ
მერი-სოფია ლაკოპულოსი
ისო-პოლიფონიისა და აღმოსავლეთქართული
პოლიფონიის მსგავსების შესახებ

ქართული კულტურისა და მეცნიერების კერები
ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

ერთი ხალხური საკრავის შესახებ
აჭარპანი

ძველი პრესის ფურცლებზე
ზაქარია ფალიაშვილი
ქართული სახალხო სიმღერების თანამედროვე
მდგომარეობა

ერთი ჟანრის შესახებ
ქართული საქორწილო ჟანრის მუსიკა

ფშაური „ჯვარის წინასა“

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(იანვარი-ივნისი, 2015)

ფესტივალები და კონფერენციები

27.03.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა წმ. ექვთიმე აღმსარებლის სახელობის სამეცნიერო სემინარი.

17-19.04.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენცია: „მუსიკალური იდენტობა და კულტურათა გზაჯვარედინი“.

1.05.2015 – შიდა ქართლში, სოფ. ნიქოზში გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორული ფესტივალი „ნიქოზი 2015“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა და გუნდებმა თბილისიდან და საქართველოს რეგიონებიდან. მოეწყო გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა.

7.05.2015 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის, ტმკსც-ის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებით საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა აჭარის ტრადიციული კულტურის დღე, რომლის ფარგლებში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მთიანი აჭარის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მემკვიდრეობა“; შუახევის კულტურული ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი „შუახევის“ კონცერტი, გივი ნახუცრიშვილის ფოტო გამოფენა: „მთიანი აჭარის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“ და მისივე დოკუმენტური ფილმის „ხისადირის ქვაბულის“ ჩვენება.

8.05.2015 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესმა სასწავლებელმა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ერთად გამართა სტუდენტური კონფერენცია „საეკლესიო და თეორიული მუსიკოლოგიის აქტუალური პრობლემები“, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი მუსიკისმცოდნის, მანანა ანდრიასის ხსოვნას.

18.05.2015 – „სტუდენტური დღეები 2015“-ის ფარგლებში ქ. ოზურგეთში გაიმართა ხალხური და თანამედროვე სიმღერების დასკვნითი ტური, რომლის ნომინაციაში „ხალხური სიმღერა“ გაიმარჯვა გიორგი მთაწმინდელის

სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის გუნდმა.

20.05.2015 – რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა „ანჩისხატის ტაძრის გუნდის“ კონცერტი X საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში „ადღომიდან ამადლებამდე“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე კორსანტია).

კომპაქტ-დისკები, მასტერ-კლასები, ლექციები, პრეზენტაციები და სხვ.

26.01.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია ტმკსც-ისა და ბერლინის ფონოგრაფიკის ერთობლივი პროექტისა: „ექვ წარსულიდან: ქართველ ტყვეთა სიმღერები, ჩაწერილი ცვილის ლილეკაებზე გერმანიაში, 1916-1918 წ.წ.“ (წიგნი ორი კომპაქტდისკით). ჩანაწერები ცოცხლად შეასრულეს თბილისურმა ანსამბლებმა: „ანჩისხატი“, „ბასიანი“, „სახიობა“, „დიდგორი“, „შავნაბადა“, „ძირიანი“.

7.01.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ბერლინის ფონოგრაფიკის დირექტორის, გერმანელი ეთნომუსიკოლოგის, ლარს-ქრისტიან კოხის ლექცია თემაზე: „ბერლინის ეთნოლოგიური მუზეუმის ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების მიმდინარე პროექტები (სამხრეთ-ამერიკული მუსიკა და ინდური მუსიკალური ინსტრუმენტები)“.

29.02.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ბერლინის ფონოგრაფიკის თანამშრომლის, სუზან ციგლერის ლექციები თემაზე: „ბერლინის ფონოგრაფიკის ისტორია და კოლექციები“ და „ქართული მუსიკის კვლევის გამოცდილება ბერლინის ფონოგრაფიკაში“.

2.02.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ისტორიკოს ლუარსაბ ტოგონიძის საჯარო ლექცია თემაზე: „წმ. ექვთიმე აღმსარებლის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

6.03.2015 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში ლექციების ციკლის „ეთნომუსიკოლოგიური შეხვედრები“ ფარგლებში გაიმართა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ნინო მახარაძის ლექცია თემაზე: „საბავშვო მუსიკალური საკრავები საქართველოში“.

17.03.2015 – ანსამბლმა „დიდგორმა“ მასტერ-კლასები ჩაუტარა ჩეხების ქართული ფოლკლორის შემსრულებელ ანსამბლს „ჰაერი“ და შეასწავლა მათ 5 ქართული ხალხური სიმღერა.

20.03.2015 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა ამ სასწავლებლის საეკლესიო მუსიკოლოგიის კათედრის გამგის, თამარ ჩხეიძის ლექცია თემაზე: „ქართული გალობის ჭრელები“.

23.03.2015 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა პრეზენტაცია ღვაწლმოსილი პედაგოგის, ნათელა გამყრელიძის წიგნისა „ქართული ხალხური სიმღერები ფანდურისა და ჩონგურის თანხლებით“.

27.03.2015 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ეთნომუსიკოლოგიის, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, თამაზ გაბისონიას საჯარო ლექცია თემაზე: „ქართული სიმღერა-გალობის ფენომენი“.

28.03.2015 – ანსამბლ „შაენაბადას“ აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მიენიჭა.

24.04.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ემერიტუს პროფესორმა რუსუდან წურწუმიამ საქართველოს ეროვნულ არქივში ჩაატარა საჯარო ლექცია: „საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“.

1.05.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა დებატები ქართული სამუსიკო კილოს საკითხებზე. მონაწილე მხარეები: მალხაზ ერქვანიძე, ლევან ვეშაპიძე და ზაზა წერეთელი.

19.05.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში გაიმართა საეკლესიო გალობის სადამო, რომლის ფარგლებში მოეწყო პრეზენტაცია მონაზონი ნინოს (სამხარაძე) მიერ მომზადებული თემისა „გალობის აღმადგინებელი კომიტეტის საქმიანობა საქართველოში“ და კონსერვატორიის მგალობელთა სტუდენტური გუნდის კონცერტი (ხელ-ლი: ეკატერინე ყაზარაშვილი).

6.06.2015 – ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია ეთნომუსიკოლოგ დავით შუღლიაშვილის მიერ მომზადებული წიგნისა „ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების პერიოდში“.

10.06.2015 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა ეთნომუსიკოლოგიის, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, თამაზ გაბისონიას საჯარო ლექცია თემაზე: „მუსიკა და ფსიქოლოგია“.

12.06.2015 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში ლექციების ციკლის „ეთნომუსიკოლოგიური შე-

ხვედრები“ ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ბავშვთა ქოეოგრაფიულ სტუდია „ერულასთან“ (ხელ.: ეკატერინე გესლაიძე, პედ.: ვიქტორია სამსონაძე).

ანსამბლმა „რუსთავმა“ გამოსცა ორი კომპაქტ-დისკის ნაკრები სახელწოდებით: „ლადო თანდილაშვილი და ანსამბლი „რუსთავი“.

ექსპედიციები

8-18.05.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურის II კურსის სტუდენტმა გიორგი კრავეიშვილმა მოაწყო ფოლკლორული ექსპედიცია კლარჯეთში, კერძოდ, მურღულის რაიონში.

გასტროლები

23-25.02.2015 – ანსამბლი „ბასიანი“ იმყოფებოდა ესპანეთში, სადაც გამართა სოლო კონცერტები ქალაქებში: სანტანდერი, ზარაგოზა და მადრიდი; გარდა ამისა, ესპანელ ეთნომუსიკოლოგ პოლო ვალეჰოსთან ერთად ჩაატარა მასტერკლასები.

23.05-3.06.2015 – საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ბალტიისპირეთის ქვეყნების (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) საელჩოებში გაიმართა ანსამბლ „ქართული ხმების“ ოფიციალური მიღება-კონცერტები.

28-31.05.2015 – ანსამბლმა „იალონმა“ მონაწილეობა მიიღო ლიტვაში (ქ. ვილნიუსში) გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში „Skamba Skamba Kankliai“.

ანსამბლმა „რუსთავმა“ გასტროლებით იმოგზაურა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში:

12.02.2015 – ინდოეთის ქალაქი ფარიდაბადი – სურაჯკუნდის ტრადიციული საერთაშორისო ხელნაკეთობათა გამოფენა.

19-27.05.2015 – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა – სოლო კონცერტები საქართველოს დელეგაციის ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით.

27-27.05.2015 – იტალია – კონცერტები რომის ველაბროს წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში და რომის წმინდა აგუსტინეს ტაძარში.

კონცერტები და საღამოები

11.01.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ქრისტეშობისადმი მიძღვნილი სიმღერა-გალობის კონცერტი.

2.02.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა წმ. ეკვთიმე აღმსარებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი გალობის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის მგალობელთა გუნდებმა.

15.02.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ანსამბლ „სახიობას“ რიგით VII საანგარიშო კონცერტი.

19.02.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ანსამბლ „ბასიანის“ სოლო კონცერტი.

21.02.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ხალხური სიმღერის ცნობილი ლოტბარის, ვალიკო ნანობაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

8.03.2015 – „ტრადიციული მუსიკის კვირა დღეების საღამოების“ ფარგლებში კაფეში „ზოესთან“ გაიმართა ანსამბლ „იალონის“ სოლო კონცერტი.

3.04.2015 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა ანსამბლ „იალონის“ შეხვედრა-კონცერტი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან.

19.04.2015 – ქ. თელავის დრამატული თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ანსამბლ „იალონის“ სოლო კონცერტი სახელწოდებით „დაბადებიდან გარდაცვალებამდე“.

20.04.2015 – ქ. თელავის დრამატულ თეატრში გაიმართა ღვაწლმოსილი კახელი მომღერლისა და ლოტბარის, ანდრო სიმაშვილისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და კახეთის რეგიონულმა ანსამბლებმა.

20.04.2015 – ქ. ქუთაისში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ანსამბლ „სახიობასა“ და ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლის ერთობლივი კონცერტი.

26.04.2015 – „ტრადიციული მუსიკის კვირა დღეების საღამოების“ ფარგლებში კაფეში „ზოესთან“ გაიმართა ანსამბლ „ერთობის“ სოლო კონცერტი.

27.04.2015 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი „გადავარჩინოთ ეთნომუსიკოლოგ ქეთევან ნაგერვაძის სიცოცხლე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა და მგალობელთა გუნდებმა.

28.04.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ტმესც-ისა და ყარაღენიზის ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო კონსერვატორიის ორგანიზებით მოეწყო თურქული მუსიკის საღამო, რომელ-

ზეც წარმოდგენილი იყო თურქული ხალხური და პროფესიული მუსიკის ნიმუშები.

29.04.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ანსამბლ „იალონის“ სოლო კონცერტი სახელწოდებით „დაბადებიდან გარდაცვალებამდე“.

10.05.2015 – ქ. კასპში გაიმართა ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი სიმღერა-გალობის კონცერტი „აღდგომა-ზატიკი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა და მგალობელ-მომღერალთა გუნდებმა.

20.05.2015 – ქ. ბოლნისის კულტურის სახლში გაიმართა მუსიკალურ-ეთნოგრაფიული სპექტაკლი „წუთისოფელი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბოლნისში მოღვაწე სამი თაობის ფოლკლორულმა ანსამბლებმა: „სიონი“ (ხელ.: დავით ყაველაშვილი, არჩილ მაისაშვილი), „ორბელი“ (ხელ.: სოსო კოპალეიშვილი), „ბოლნელა“ (ხელ.: ნანა ვალიშვილი), „აღილო“ (ხელ.: თამარ შენგელია), „ბოლნისი“ (ხელ.: ნინო დვალიშვილი) (სცენარის ავტორი, რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი სოსო კოპალეიშვილი).

21.05.2015 – „მუზეუმის კვირეულის“ ფარგლებში ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა რაჭული მუსიკის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლ „ძირიანმა“ (ხელ.: თორნიკე სხიერელი).

24.05.2015 – „ტრადიციული მუსიკის კვირა დღეების საღამოების“ ფარგლებში კაფეში „ზოესთან“ გაიმართა ანსამბლ „აღილეს“ სოლო კონცერტი.

25.05.2015 – ლატვიის ქალაქ იურმალაში ანსამბლ „ქართულმა ხმებმა“ გამართა სოლო კონცერტი საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

16.06.2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ირანული ტრადიციული მუსიკის შემსრულებელმა ანსამბლმა „ნასტარმა“ და ქართულმა ანსამბლებმა: „სახიობა“, „ძირიანი“, „იალონი“, „აღილეი“ და „მჭელი“.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ იხ. www.folk.ge.

მომზადდა მაკა ხარძიანმა

სუზან ციგლერი



სუზან ციგლერი

ჩვენი რუბრიკის სტუმარია გერმანელი ეთნომუსიკოლოგი, საქართველოს დიდი მეგობარი, **სუზან ციგლერი**, რომელიც თითქმის სამი ათწლეულია, რაც დაინტერესებულია კავკასიური და, განსაკუთრებით, ქართული მუსიკალური ფოლკლორით, ხშირად სტუმრობს ჩვენს ქვეყანას, ამ სამი ათწლეულის მანძილზე მოვლილი აქვს საქართველოს მრავალი კუთხე ცნობილ ქართველ ეთნომუსიკოლოგებთან ერთად, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმების დაარსების დღიდან კი მისი უცვლელი მონაწილეა. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ სუზან ციგლერის გამოჩენილი ინტერესისა და ზრუნვის საგანია ბერლინის ფონოგრამარქივში დაცული ქართველ ტყვეთა ჩანაწერები, გაკეთებული პირველი მსოფლიო ომის დროს. სწორედ ქალბატონი სუზანის ინიციატივითა და ბერლინის ფონოგრამარქივის დირექტორის, ლარს-ქრისტიან კოხის ხელშეწყობით განახორციელა ტმკსც-მა ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებში გამოიცა პატარა წიგნი ტყვეთა ჩანაწერების ორი კომპაქტ-დისკით: „*ქო წარსულიდან: ქართველ ტყვეთა სიმღერები, ჩაწერილი ცვილის ლილვაკებზე გერმანიაში, 1916-1918*“.

გამოცემის პრეზენტაციას, რომელიც ა.წ. იანვარში კონსერვატორიის მცირე დარბაზში შედგა, ესწრებოდნენ სუზან ციგლერიცა და ლარს-ქრისტიან კოხიც. სიტყვებით შეუძლებელია იმ ემოციის გადმოცემა, რომელიც დარბაზში სუფევდა. კონსერვატორიის რექტორი, ბ-ნი რეზო კიკნაძე, რო-

მელსაც მიჰყავდა სადამო, თვით ტყვეთა შტამომავლები და მთელი მუსიკალური საზოგადოება მაღლიერებას ვერ ფარავდა, ერთი მხრივ, იმ გერმანელი მეკლავრებისადმი, რომელთაც მოახერხეს ომის წლებში ტყვეთა ბანაკებში ქართული ფოლკლორის უნიკალური ნიმუშების ჩაწერა, მეორე მხრივ კი, ბერლინის ფონოგრამარქივისა და საქართველოში გერმანიის ელჩის მიმართ, რომელთაც ერთი საუკუნის შემდეგ ეს ჩანაწერები ქართველებს დაუბრუნეს. არანაკლებ ემოციური იყო პრეზენტაციის საკონცერტო ნაწილი, რომელზეც ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა სცენაზე გააცოცხლეს ქართველ ტყვეთა საუკუნის წინანდელი ჩანაწერები.

სუზან ციგლერის სამეცნიერო ნაშრომების სია მოიცავს 80-მდე სამეცნიერო სტატიას (აქედან, 20 კავკასიური და, მათ შორის, ქართული ფოლკლორის შესახებ) და 7 წიგნს. იგი რამდენიმე ქართული აუდიო ალბომის რედაქტორი და ბერლინის ფონოგრამარქივის მიერ გამოცემული აუდიო ალბომების სერიის თანარედაქტორია..

ამჯერად, ოდნავ შეცვალეთ ჩვენი რუბრიკის ფორმატი და თავად ქ-ნ სუზანს ვთხოვეთ, დაეწერა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია და მოეთხრო საქართველოში მისი არაერთგზის მოგზაურობის, ქართველ კოლეგებთან ურთიერთობისა და ქართველ ტყვეთა ჩანაწერებზე მუშაობის საინტერესო დეტალები.

დავიბადე იუგენზაიმ ან დერ ბერგშტრასეზე (დარმშტადტის ახლოს), ვწავლობდი სლავეურ ენებს, ლიტერატურასა და მუსიკოლოგიას კიოლნის უნივერსიტეტში, 1977 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია მაკედონიურ სარიტუალო სიმღერებზე: *Das Volklied in Westmazedonien. Ein Strukturvergleich von Text und Musik.* ([Dissertation Köln 1977]. *Balkanologische Veröffentlichungen des Osteuropa-Instituts der Freaien Universitat Berlin Bd.2. Berlin-Weisbaden: Harrassowitz 1979.*)

1983-1988წწ. ვიყავი შედარებითი მუსიკოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი. ამ პერიოდში ჩემი სამეცნიერო კვლევის ობიექტი იყო სამხრეთ ევროპისა და თურქეთის მუსიკა (ექსპედიცია მაკედონიასა და თურქეთში, საქსპედიციო ჩანაწერები სამხრეთ თურქეთში, 1985წ.) და მუსიკალური საკრავები. 1980 წლიდან ამ თემებზე ლექციებს ვკითხულობ გერმანიის სხვადასხვა (მაინცის, ჰაიდელბერგის, მაინის ფრანკფურტისა და პოცდამის) უნივერსიტეტებში.

1990-1992წწ. ბერლინის ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო ინსტიტუტში ვმუშაობდი სამეცნიერო პროექტზე (DFG-გერმანიის კვლევის ფონდი) „ქართული მრავალხმიანობის ისტორიული ჩანაწერები“.

1993 წლიდან 2012 წლამდე – პენსიაში გასვლამდე ვიყავი ბერლინის ეთნოლოგიური მუზეუმის ეთნომუსიკოლოგიური განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პასუხისმგებელი ბერლინის ფონოგრაფიკის ისტორიულ კოლექციებზე.

2000 წლიდან ვარ ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს (ICTM) ტრადიციული მუსიკის კვლევის ჯგუფის თავჯდომარე.

საქართველო

ჩემი ურთიერთობა საქართველოსთან დაიწყო ისტორიული ჩანაწერებისა და არა ცოცხალი მუსიკის საშუალებით.

1985 წელს ჩავატარე სემინარი თემაზე „საბჭოთა კავშირის ხალხის მუსიკა“. ამ სემინარის ფარგლებში შევისწავლე ლიტერატურა ქართულ მუსიკაზე, მათ შორის ზ. ნადელის წიგნი ქართულ სიმღერაზე (1933) (იმ დროს შეუძლებელი იყო სათანადო ჩანაწერების მოხმენა); გარდა ამისა, წავიკითხე პუბლიკაციები ქართული მუსიკის შესახებ, ძირითადად რუსულ ენაზე. იმ დროს დასავლეთ ევროპაში ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ რამდენიმე აუდიო ჩანაწერი (გრამფირფიტების OUNESKO სერია, ი. გრიმო) და სტუდია „მელოდიას“ ჩანაწერები (ანსამბლები „გორდელა“ და „რუსთავი“).

1987 წლის ზაფხულში, როგორც შუასუკუნეების მრავალხმიანობის სპეციალისტი, ჩავატარე სემინარი „შუასუკუნეებისა და კავკასიური მრავალხმიანობა“ (მარიუს შნაიდერის 1940 წელს გამოქვეყნებულ სტატიის საფუძველზე).

1985 წლის ზაფხულში სტოკჰოლმში დავეუკავშირდი ერნსტ ემსჰაიმერს და დავიწყე მასთან აქტიური მიმოწერა – ჩვენ ორივე ქართული მრავალხმიანობით ვიყავით დაინტერესებული.

1987 წელს კვლავ შევხვდი ემსჰაიმერს ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს (ICTM) მსოფლიო კონფერენციაზე ბერლინში, სადაც მან შემომთავაზა ერთობლივად გვემუშავა 1935 წელს ლენინგრადში ჩაწერილ გურულ მრავალხმიანობაზე. ამ მასალის საფუძველზე მე მოვამზადე სამეცნიერო პროექტი: „ქართული მუსიკის ეთნოისტორიული ჩანაწერები“.

ბორჯომი 1988 წლის ოქტომბერი

იხალი ზემცოვსკის წყალობით, 1988 წელს მე დამპატივეს ბორჯომის მრავალხმიანობის კონფერენციაზე. ჩემი მოხსენება „კავკასიური მრავალხმიანობა გერმანული მუსიკოლოგიური ლიტერატურის სარკეში“ დაიბეჭდა ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ №1 (1989) და გერმანიაში (1992).

ეს იყო ჩემი პირველი ვიზიტი საქართველოში, რომელმაც უზარმაზარი გამოცდილება შემძინა. მაშინ პირველად მოვისმინე ქართული მრავალხმიანობა ცოცხალი შესრულებით, შევხვდი შესანიშნავ ქართველ კოლეგებს, მათ შორის, ედიშერ გარაყანიძეს.

იმ დროს ქართული მრავალხმიანობის კვლევა ახალ მიმართულებას იძენდა; იქმნებოდა ახალი ანსამბლები („მთიები“, „მზეთამზე“, „ანჩისხატი“), რომელთა მიზანი იყო ტრადიციულ სტილში ემღერათ, ორიგინალური ნიმუშების ხასიათისა და შესრულების მანერის დაცვით.

მიპატიუება საქართველოში 1990 წლის ივნისში

1990 წელს კვლავ დამპატივეს საქართველოში (სხვა დასავლელ კოლეგებთან – ფრანც ფოედერმაირთან, სიმპა არომთან, ემილ ლუბეისთან ერთად).



ქართველ ეთნომუსიკოლოგებთან – ნინო მახარაძესა და ნინო ნაკაშიძესთან ერთად

საქართველოს სოფლებში ჩვენ მოვესმინეთ სხვადასხვა ფოლკლორულ ანსამბლებს. დასასრულს თბილისში ვიმსჯელებთ, როგორ უნდა დავხმარებოდით ქართველ კოლეგებს კვლევის საშუალებების გაუმჯობესებაში. სამწუხაროდ, პოლიტიკურმა სიტუაციამ ყველა გეგმა ჩაგვიშალა და ვერაფერი განვახორციელებთ.

1991 წლის აპრილში ბერლინში მსოფლიო კულტურების სახლში [Haus der Kulturen der Welt] გაიმართა კავკასიური კულტურის ფესტივალი. მე მიმიწვიეს, როგორც მუსიკის სპეციალისტი. გარდა სომხეთის, აზერბაიჯანისა და დაღესტანის მუსიკისა, წარმოდ-

გენილი იყო ქართული ტრადიციული მუსიკაც. პროგრამის დეტალების, ჩანაწერების, ფოტოების შესათანხმებლად საქართველოში კიდევ ერთხელ ვესტუმრე 1990 წლის ნოემბერში. ჩემი რეკომენდაციით ბერლინში დაპატიჟეს ანსამბლები „მთიები“, „მზე-თამაზე“ და „სონარი“. მოგვიანებით გამოიცა ქართული კონცერტის კომპაქტური დისკო სახელწოდებით „სონარი“ (1993).



ექსპედიციაში ედიშერ გარაყანიძესთან ერთად

ამასობაში ქართული (გურული) მრავალხმიანობის ისტორიული ჩანაწერების კვლევის პროექტი მოიწონა და დააფინანსა გერმანიის სამეცნიერო ფონდმა. პროექტის ყურადღების ცენტრში იყო 1935 წელს ლენინგრადში ცვილის ლილვაკზე გაკეთებული ცნობილი ჩოხატაურული ტრიოს ჩანაწერები. ეს უნიკალური ჩანაწერებია, რადგან ხმები თითო ფონოგრაფზე ცალ-ცალკეა ჩაწერილი. ცვილის ლილვაკები დღემდე ინახება პეტერბურგის ფონოგრამარქივში; ფირების ასლები ემსჯაიმერმა 1987 წელს გადმომცა, 1989 წელს კი გარდაიცვალა. ამჟამად ფირები ინახება ბერლინის ეთნოლოგიური მუზეუმის ეთნომუსიკოლოგიურ განყოფილებაში.

გურია 1991

1991 წლის ივნისში ედიშერ გარაყანიძემ მოაწყო ერთობლივი ექსპედიცია ქართველ კოლეგებთან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან (ნატო ზუმბაძე, ქეთევან მათიაშვილი, თინათინ ჟვანია). ჩოხატაურის რაიონში ჩავწერეთ ცხრა სხვადასხვა ჯგუფი.

ამ ექსპედიციის მიზანი იყო 1935 წელს ჩოხატაურში გაკეთებული ჩანაწერების ხელახალი შესწავლა. სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის გამო 1991 წლის ზაფხული არ იყო კარგი დრო ექსპედიციისთვის.

აგვისტოში საქართველოში ჩემს ვაჟთან ერთად დავბრუნდი, ოთხი კვირა გავატარეთ ბორჯომში ედიშერთან და მის ოჯახ-

თან ერთად. ამ დროს მოვახერხეთ ჩაწერილი მასალის შესწავლა, ყველა ტექსტის თარგმნა და ჩანაწერების სრული აღწერა. ეს ჩანაწერები ყველა დოკუმენტაციასთან ერთად ინახებოდა ბერლინის ეთნოლოგიურ მუზეუმსა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრაზე.

რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო არ მომეცა საქართველოში დაბრუნების საშუალება 1990-იანი წლების დასაწყისში, ამიტომ ვერ მოხერხდა პროექტის დასრულება. მხოლოდ ერთი სტატია დაიბეჭდა (1993 წელს, ფრანგულ ენაზე), კომპაქტური დისკო კი დღესაც გამოცემას ელოდება.

1991 წელს ბერლინის ფონოგრამარქივის ცნობილი ლილვაკების კოლექცია, რომელიც 1944 წელს ევაკუირებული იყო საბჭოთა არმიის მიერ და ლენინგრადში ინახებოდა, 1960 წელს აღმოსავლეთ ბერლინის ხელისუფლებას გადაეცა, გერმანიის გაერთიანების შემდეგ კი დაუბრუნდა თავის პირვანდელ ადგილს “Museum für Volkerkunde” (ამჟამად ეთნოლოგიური მუზეუმი) ბერლინში.

1993 წელს მუშაობა დავიწყე ბერლინის ფონოგრამარქივის ეთნოლოგიურ მუზეუმში. მას შემდეგ ჩემი კვლევის საგანია ბერლინის ცვილის ლილვაკების კოლექცია, და ამიტომ ცოტა დრო მრჩება ბალკანური და ქართული მუსიკის კვლევისათვის. თუმცა, ზოგჯერ ორივეს ვახერხებ: ადოლფ დირის კოლექციაში აღმოვაჩინე ქართული მუსიკის ისტორიული ჩანაწერები და პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის ტყვეთა ბანაკებში ქართველი ტყვეების ჩანაწერების 69 ცვილის ლილვაკი (ციგლერი, 1995). მიმიწვიეს რამდენიმე კონფერენციაზე, მთხოვეს წამეკითხა ლექციები, დამეწერა სტატიები და რეცენზიები ქართულ მუსიკაზე, მათ შორის სტატიები ქართულ მუსიკაზე გერმანული მუსიკალური ენციკლოპედიისთვის (“Musik in Geschichte und Gegenwart”). განსაკუთრებით მაღლიერი ვარ ედიშერ გარაყანიძის, რომელთანაც ინტენსიური და ნაყოფიერი თანამშრომლობა მაკავშირებდა მის გარდაცვალებამდე.

2002 წელს კვლავ ვეწვიე საქართველოს და მონაწილეობა მივიღე ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმში. შემდეგშიც არაერთხელ ვიყავი არა ერთხელ – 2006, 2012 და 2014 წლებში ვიყავი მისი მონაწილე. 2004 და 2010 წლებში პირადად ვერ დავესწარი ამ ფორუმებს და მოხსენებები წარვადგინე ქართველი ტყ-

ვეების ჩანაწერებისა (2002წ) და ზიგფრიდ ნადელის ნაშრომის (2010წ) შესახებ.

2012 წელს დავიწყე მუშაობა პროექტზე „პრუსიის ფონოგრაფიული კომისიის 1915-1918 წლების ჩანაწერების შეფასება და ციფრულ მატარებლებზე გადატანა“, რომელიც დღემდე მიმდინარეობს. ამ კონტექსტში ჩვენ დავიწყეთ თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ქართველი ტყვეების ჩანაწერების გამოცემის მიზნით. ეს კომპაქტური დისკი გასულ წელს გამოიცა რუსუდან წურწუმიას, ნინო მახარაძე-კალანდაძისა, ნინო ნაკაშიძისა და ნინო რაზმაძის მიერ. მისი ოფიციალური წარდგენა მოხდა 2015 წლის 27 იანვარს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში და 2015 წლის მარტში ბერლინის ევროპული კულტურების მუზეუმში (Museum Europäische Kulturen).

სამომავლოდ სხვა ერთობლივი პროექტები და გამოცემებიც მაქვს დაგეგმილი ქართველ კოლეგებთან ერთად.

ტმკსც-ს სახელით წარმატებებს ვუსურვებთ ჩნ სუზანს და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც არაერთხელ მოგვეცემა მასთან საინტერესო და ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობა.

პოლიკარპე ხუბულავა



პოლიკარპე ხუბულავა

2014 წლის 18 აგვისტოს ქართული ხალხური სიმღერის დიდოსტატს, გამოჩენილ მომღერალსა და ლოტბარს – პოლიკარპე ხუბულავას 90 წელი შეუსრულდა. იუბილედან სულ რამდენიმე თვეში – 2015 წლის 1 იანვარს მისი გარდაცვალების ამბავი შევიტყვეთ. ასაკის მიუხედავად, ბ-ნი პოლიკარპე ისეთი ენერგიული და აქტიური იყო, რომ ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა მისი გარდაცვალება. სწორედ მეგრული მუსიკის ამ ჭეშმარიტი მოამაგის ხსოვნას ვუძღვნიტ ჩვენს რუბრიკას ქართული სიმღერის მოამაგეების შესახებ.

პოლიკარპე ხუბულავა 1924 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში დაიბადა. მამა – ერასტი (ერასტო) ხუბულავა ცნობილი მგალობელ-მომღერალი და ლოტბარი ყოფილა. მას გალობა მარტვილის სამგალობლო სკოლაში მაქსიმე ვეკუასგან უსწავლია. როგორც ჩანს, ერასტი ხუბულავა სრული მგალობელი იყო, რადგან მას ზედმიწევნით კარგად სცოდნია უამრავი საგალობლის სამივე ხმა. ბატონი პოლიკარპე სინანულით აღნიშნავდა, რომ მამისგან მხოლოდ „შენ ხარ ვენახის“ და „მერცხალო მშვენიეროს“ ვარიანტები შეისწავლა. ყმაწვილ პოლიკარპეს გალობა კი მოსწონდა, მაგრამ იმ დროს ტაძარში სიარული აკრძალული რომ იყო, საკუთარ მა-

მასთან ურთიერთობისაც კი ეწინააღმდეგებოდა. „მამის – ყოფილი დიპლომატის გვერდით ვინმეს რომ დავეხმარებო, სირცხვილი იყო“ – აღნიშნავდა იგი.

ერასტო ხუბულავას ბევრჯერ უმღერია მეგრული სიმღერის კორიფეებთან – ძუკუ ლოლუასთან და რემა შელეგიასთან ერთად. მასთან მეგობრობდნენ ნოკო ხურციია, კირილე პაჭკორია, სოლომონ მარკოზია. იცოდნენ, როდის იყო თავისუფალი, ესტუმრებოდნენ და დიდ დროს სიმღერაში, ერთმანეთისათვის ახალი ნიმუშების გაზიარებასა და ვარიანტების შექმნაში ატარებდნენ. მოგვიანებით ერასტო ხუბულავამ ჯიხაშკარში 45 კაციანი გუნდი ჩამოაყალიბა.

ბატონი პოლიკარპეს თქმით, ერასტომ „რადაც სხვანაირი ნოტები იცოდა – წერტილებით, ხაზებით, ასაწვე-დასაწვევი ნიშნებით“ (აშკარაა, რომ აქ ნევმური დამწერლობა უნდა ვიგულისხმოთ). ჯიხაშკარის გუნდის წევრები ხუბულავების სახლში იკრიბებოდნენ სამეცადინოდ. ამგვარად, პატარა პოლიკარპე იმთავითვე მუსიკალურ გარემოში იზრდებოდა და სიმღერებს ძალიან ადვილად ითვისებდა. მისი განსაკუთრებული მონაცემები ადრევე შენიშნეს. ერასტოს ანსამბლის წევრებს სიმღერა რომ მოეწონებოდათ, ჩაურთავდნენ ფირფიტას და 12-13 წლის ყმაწვილს ასმენინებდნენ. რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ ბიჭმა სამივე ხმა იცოდა და მამის ანსამბლის წევრებისათვის სწავლებაც შეეძლო. თურმე ისეთი გატაცებით უსმენდა მეგრული და გურული სიმღერების ფირფიტებს, რომ ზოგჯერ დამეხობოდა გაუთენებია. გურული სიმღერისადმი სიყვარული ლოტბარს არასოდეს განელებია. მას „მეგრული სიმღერის გაგურულებასაც“ აბრალებდნენ. ბატონი პოლიკარპე თავადაც ამბობდა: „მომკალი, თუ გინდა და, გურული კილო რომ არ გავურიო სიმღერაში, არ შემოიძლიაო“. მას მოსწონდა სიახლე, სიმღერის შექმნის პროცესი – შემოქმედებითი აქტი. სიმღერებს სირთულის მიხედვით აფასებდა და ბევრ ნიმუშს მარტივსა და „უბრალოს“ უწოდებდა. მისი აზრით „როცა გურულ სიმღერას მღერი, ყურადღებით უნდა იყო, რომ ხმიდან არ გადავარდეთ. ისე უნდა უდარაჯო სხვა ხმებს, როგორც ნადირობისას ძაღლი დარაჯობს კურდღელს“.

ჩონგურზე დაკვრა პოლიკარპეს მშობლებისაგან და ქიონია ბარამიასგან უსწავლია (მეგრელებისთვის ამ უსაყვარლეს საკრავს ერასტოც ფლობდა). მშვენივრად მღეროდნენ მისი დებიც. ამრიგად, ხუბულავების მრავალრიცხოვანი ოჯახის ყველა

წევრი მღეროდა.

ჯიხაშკარის შვიდწლიან სკოლაში სწავლისას დირექტორს ისე მოწონებია პატარა პოლიკარპეს სიმღერა, რომ მეორე კლასელი ბავშვისთვის გუნდის ჩამოყალიბება დაუვალბია. მართლაც, პოლიკარპეს 30-მდე ბავშვისთვის უსწავლებია მამისაგან ნასწავლი რამდენიმე ნიმუში. სკოლის დამთავრებამდე იგი მამის გუნდშიც მღეროდა.

1944 წ. პოლიკარპემ ბათუმის საჯარისო ნაწილში გაიცნო ცნობილი მომღერალი და ლოტბარი – შერმადინ ჭკუასელი, რომელიც 150 კაციანი გუნდს ხელმძღვანელობდა. წელიწადნახევარში შერმადინმა გუნდი პოლიკარპეს გადააბარა. 1948 წ. ზუგდიდში დაბრუნებულმა პოლიკარპე ხუბულავამ სამეგრელოს სხვადასხვა სოფელში (ყულიშკარში, ჯიხაშკარში, ხაბუმეში, ლიაში, ობუჯში, ჯვარში, ფახულანში) დაიწყო ხალხური გუნდების ჩამოყალიბება. 70-იანი წლების ბოლოს ლოტბარმა წალენჯიხის რაიონში უხუცესთა ანსამბლი შექმნა.

1974 წ. ზუგდიდის თეატრის დირექტორის თხოვნით პოლიკარპე ხუბულავამ ანსამბლი „ოდოია“ ჩამოაყალიბა. რეპერტუარი ძირითადად მშობლიური კუთხის ნიმუშებს მოიცავდა. 1977 წ. ანსამბლის მოსკოვური ტურნეს შემდეგ საქართველოს ეწვია რუსი ფოლკლორისტი ედუარდ ალექსევი, რომელმაც „ოდოიას“ რეპერტუარი ჩაიწერა და ბატონი პოლიკარპე სსრკ კომპოზიტორთა კავშირის ფოლკლორულ კომისიაში მიიწვია. იქ გაკეთდა უნიკალური ჩანაწერები, სადაც ლოტბარი სამივე ხმას თვითონ ასრულებს. პოლიკარპე ხუბულავა არტემ ერქომაიშვილის შემდეგ მეორე გახლდათ, ვინც ამგვარი წესით ჩაწერა ქართული ტრადიციული მუსიკის ნიმუშები. მისი ანსამბლის წევრების მიერ შესრულებული სიმღერები ცალკეული ხმებით (სასწავლო დისკების სახით) დღეს უკვე საქართველოშიც გამოცემულია.

1990-იანი წლებიდან ბატონი პოლიკარპე ევროპის ქვეყნების მსმენელთა წინაშეც გამოდიოდა: მის მიერ ჩამოყალიბებული გუნდები პოლონელი, უნგრელი, ფრანგი, იაპონელი მსმენელის აღფრთოვანებას იმსახურებდა. 2000-იანი წლებიდან ქართველი ლოტბარი ხანგრძლივი დროით იყო მიწვეული პარიზის ქართული ანსამბლებისათვის მასტერკლასების ჩასატარებლად. პოლიკარპე ხუბულავა ბევრი თბილისური ფოლკლორული ანსამბლის („ანჩისხატი“, „ბასიანი“, „მართვე“) კონსულტანტიც გახლდათ.

ტრადიციული რეპერტუარის საკუთარი ვარიანტების გარდა („კუნტა ბედინერა“,

„ზესქვი უჩა“, „ჩელა“, „არამი დო შარიქა“, „მაგლონია“, „ძაბრაღე“, „ლეკებმა რომ დამიჭირეს“, ბატონ პოლიკარპეს რამდენიმე საავტორო სიმღერაც აქვს შექმნილი. მათ შორისაა: „სიმღერა შოთა რუსთაველზე“, „სიმღერა ნოკო ხურციანზე“, „სიმღერა ძუკუ ლოლუაზე“, „აჯაფსანდალი“, „რკინაშ ხოჯი“, „სიმღერა კოსმონავტებზე“, „სიმღერა ჩაის საკრეფ მანქანაზე“ და ა. შ.

ქართული სიმღერის მემკვიდრეებს ბავშვობაში ნანახი ბევრი რიტუალი, დღესასწაული და საინტერესო ამბავი ახსოვდა. გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ბევრი ტრადიცია, სასიმღერო ნიმუში თუ საკრავი დიკარგა და ყოფაში აღარ არსებობს.

2014 წლის 4 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში დავაწმოსილი ლოტბარისა და მომღერლის 90 წლის საიუბილეო საღამო და მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნის ცერემონია გაიმართა. პოლიკარპე ხუბულავას კულტურის სამინისტროს სპეციალური ჯილდო – „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიენიჭა. ის იყო ღირსებისა და წმინდა გიორგის ორდენების კავალერი, 2005-2006 წ.წ. ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის, ფოლკლორის ეროვნული პრემიისა და ფონდ „ქართული გალობის“ პრემიების ლაურეატი.

პოლიკარპე ხუბულავა სიცოცხლის ბოლომდე უდიდესი სიყვარულით და შემართებით ატარებდა რეპეტიციებს და 90 წლის ლოტბარი ზუგდიდში ოთხ ანსამბლს ამეცადინებდა. ანსამბლ „ოდოიაში“ უკვე მესამე თაობას ზრდიდა... მისთვის სიმღერა ყოველდღიური ცხოვრების წესი იყო.

აღზრდილების, ნაცნობ-მეგობრების, ეთნომუსიკოლოგებისა და ტრადიციული მუსიკის მსმენელების მესხიერებაში ბატონი პოლიკარპე – უკეთილშობილესი, სამშობლოსა და სიმღერაზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება – მუდამ იცოცხლებს.

ნინო მახარაძე
ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

*ქართული სიმღერის უცხოელი
შემსრულებლები*

ტორონტოდან თბილისამდე: ტრიო „ზარი“ სიმღერას სიცოცხლეს უხანგრძლივებს

2001 წელს იშენსკოს მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული ქართული ვოკალური მრავალხმიანობა, ერთი მხრივ, ორიგინალური ჰარმონიითა და არატემპერირებული ბგერათწყობით, მეორე მხრივ კი, დიალექტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეს მრავალფეროვნება წარმოდგენილია მელიზმატიკით მდიდარი აღმოსავლეთქართულ მელოდიებით, დასავლეთ საქართველოს ველური, ფეთქებადი კონტრაპუნქტებითა და თანამედროვე რომანტიკული ქალაქური ბუნებებით.

ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო „ზარი“ შედგება მახარაშვილის, ანდრეა კუზმინისა და რიდ რობინსის შემადგენლობით ქართულ მრავალხმიან რეპერტუარს ასრულებს. ტრიო შეიქმნა ტორონტოში, 2003 წელს. ჯგუფის წევრებმა ერთმანეთი „დარბაზის“ (პირველი ქართული ანსამბლი კანადაში) რეპეტიციებზე გაიცნეს.

„ზარის“ შესახებ მეტი რომ შემეტყო, ჯგუფის თანადამაარსებელს, ანდრეა კუზმინს დაეუკავშირდი: „ტრიოს მთავარი მიმართულებაა ერთგულება ქართული მუსიკის უძველესი ტრადიციებისადმი. „ზარი“ აზიარებს მსმენელს ქართულ კულტურას, მის ფესვებს შორეულ წარსულში, მის ძალას და გამბედაობას გადარჩენისთვის ბრძოლაში, მის სტუმართმოყვარეობას“ – აღნიშნა ანდრეამ.



ტრიო „ზარი“ ხობის ფესტივალზე

მრავალი კანადური ჯგუფის მსგავსად, რომლებიც ეზიარებიან რომელიმე ქვეყნის ფოლკლორს და იმ ქვეყნებში უფრო პოპულარულები არიან, ვიდრე საკუთარში, ტრიო „ზარიც“ საქართველოში უფრო პოპულარულია, ვიდრე კანადაში.

კუზმიჩი აღნიშნავს: „საქართველოში არაერთგზის მოგზაურობის დროს ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ფესტივალში „ჩვენებურები“, მეგრული სიმღერის ფესტივალში, გურული სიმღერის პირველ საერთაშორისო და სხვა ფესტივალებში, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის საკონცერტო პროგრამებში. საქართველოში ტრიო გამოდიოდა საუკეთესო საკონცერტო სცენებზე, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, თბილისის ოპერის თეატრისა და დიდ საკონცერტო დარბაზებში“.

გარდა ოფიციალური საკონცერტო სივრცეებისა, კუზმიჩი ხაზს უსვამს სუფრის მნიშვნელობას ქართულ ტრადიციაში; „ქართული სუფრა არის მნიშვნელოვანი სოციალურ-კულტურული მოვლენა და შესანიშნავი ადგილი ხალხური სიმღერის შესრულებისათვის. ამბობენ, რომ კონცერტის დასრულების შემდეგ მოწყობილ ბანკეტზე შესრულება საუკეთესოა. ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, რამდენ სუფრას დავესწრებით ან რომელი მათგანი იქნება სხვებზე მეტად საგანმანათლებლო“. სუფრა არის ქართული კულტურის განუყრელი ნაწილი და ძალიან ძნელია მისი გამოყოფა ყოველდღიურობიდან. „ყოველ ოჯახში დღეში ერთხელ მაინც (ოფიციალურად) ისმევა სადღეგრძელო, თუ მეტჯერ არა (განსაკუთრებით, ჩვენი სტუმრობის დროს), შესაბამისად, სრულდება სიმღერებიც. ამგვარად, სუფრასთანაც კი ვსწავლობთ სიმღერებს. ამ დროს ზღვარი სუფრასა და გაკვეთილს შორის წაშლილია. მაგალითად, ერთ დღეს ჩვენ გაკვეთილი უნდა გვქონოდა, მაგრამ, ამის ნაცვლად, შეადგეს სახელდახელოდ გაიმართა სუფრა ადგილობრივ სახლ-რესტორანში ლობბარებით განთქმულ სოფელ მაკვანეთში (გურია).

... სუფრაზე ბევრი სიმღერა შესრულდა, ამას ენაცვლებოდა ამბები თუ როგორ მდეროდნენ ბავშვობაში, საბჭოთა პერიოდში და დღეს. მათთან ერთად ჩვენც ვმღეროდით. ალბათ სამ საათზე მეტი გავატარეთ ასე. ჩვენ სამივე (ტრიო „ზარიც“) აღფრთოვანებული ვიყავით და მძაფრად ვგრძნობდით ტრადიციასთან კავშირს. ამ გამოცდილების შემდეგ მივხვდით, რომ ძალიან ბევრი რამ ვისწავლეთ იმ ერთ შეხვედრაზე“.

როცა მე ანდრეას შევხვდი, ტრიო „მუზიდეუმში“ ერთ-ერთი კონცერტისთვის ემზადებოდა. რეპერტუარის შესახებ ანდრეამ მითხრა: „ჩვენ შევასრულეთ საქართველოს რამდენიმე კუთხის სიმღერას, მათ შორის ერთ-ერთია გურული სიმღერა *ჩვენ მშვიდობა*. ახლა ვსწავლობთ ამ სიმღერის მეოთხე თუ მეხუთე ვარიანტს, თუმცა შესრულების დროს თავს იმპროვიზაციის უფლებას ვაძლევთ. *მაგლონია* მეგრული ლირიკული სიმღერაა და სრულდება ფანდურის თანხლებით. ჩვენ მოსმენილი გვაქვს ამ სიმღერის რამდენიმე ვერსია, მაგრამ ვასრულებთ ახლახან გარდაცვლილი ცნობილი ლობბარის, პოლიკარპე ხუბულავას ვარიანტს. რეპერტუარში ასევე შევიტანეთ იმერული და აჭარული სიმღერები, რომლებიც ერთმანეთის მსგავსია, თუმცა იმერული ნიმუშების ზედა ხმაში მეტი პარალელური ტერციებია, ასევე – აკორდებით დახუნძლული ერთი სვანური სიმღერა“.

როგორც ჩანს, „ზარიც“ მუდმივ კავშირშია მათი შთაგონებისა და ოსტატობის მასაზრდოებელ მშობლიურ – ან, კუზმიჩის შემთხვევაში, არჩეული ზეპირი მუსიკალური ტრადიციის წყაროებთან. ტრიო წელსაც აპირებს საქართველოში გამგზავრებას, სასწავლებლად და კონცერტების მოსაწყობად. კონცერტი „მუზიდეუმში“ არის მათი საქართველოში გამგზავრებისა და უხუცეს ლობბარებთან მეცადინეობისათვის საჭირო ქმედებების ნაწილი. გარდა ამისა, ტრიო გეგმავს შეხვედრებს კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიური მიმართულებისა და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მკვლევრებთან, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორთან და საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელთან, გიორგი დონაძესთან. „ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, შევხვდეთ ანზორ ერქომაიშვილს, რომელიც გვასაჩუქრებს ხოლმე ქართული ტრადიციული მუსიკის ახალი გამოცემებით“ – მითხრა ანდრეამ.

ხელოვანის ასეთი ძლიერი გატაცებისა და ნაყოფიერი საქმიანობის გაცნობა ყოველთვის ამაღელვებელია.

ენდრიუ თიმარი

სტატია აღებულია ინტერნეტ-

ჟურნალიდან

www.thewholenote.com

„ბოლნელა“

ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ბოლნელა“ სულ რამდენიმე წელია არსებობს. ამ მცირე ხანში მან უკვე მოიპოვა საკმაო პოპულარობა და მსმენელთა სიმპატია. ანსამბლის შექმნის მთავარი მიზანი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქვემო ქართლში ქართული ტრადიციული კულტურის აღორძინება-პოპულარიზაციაა. „ბოლნელას“ საკუთარი საშემსრულებლო სტილი და მანერა გააჩნია. ანსამბლის შემოქმედებით გზასა და მიზნებზე მის ლობარს, ეთნომუსიკოლოგ ნანა ვალიშვილს გვესაუბრეთ:

– როდის ჩამოყალიბდა ანსამბლი და როგორ გაჩნდა მისი შექმნის იდეა?

– ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ბოლნელა“ ბოლნელი მიტროპოლიტის ეფრემის ლოცვა-კურთხევითა და დეკანოზ ბასილ ახვლედიანის ხელმძღვანელობით 2012 წელს ჩამოყალიბდა. მამა ბასილი დღემდე ანსამბლის ხელმძღვანელია, მე კი ლობარის გახლავართ. გოგონები ძირითადად მგალობლები არიან – ისინი ბოლნისის სიონის საკათედრო ტაძარსა და აკაუსრთის სიონში გალობენ, რომლის წინამძღვარიც მამა ბასილია. მანამდე ბოლნისში ქალთა ანსამბლი არ არსებობდა. ეს იყო საბაბი იმისა, რომ ნიჭიერ მგალობელთაგან ფოლკლორული ანსამბლი შექმნილიყო. მსურველთა გარკვეული რაოდენობის შეკრების შემდეგ საცდელი რეპერტუარი შეირჩა. გოგონებმა ამ რეპერტუარზე მუშაობა დაიწყეს. დროთა განმავლობაში შემადგენლობა დაიხვეწა და ანსამბლმა დღევანდელი სახე მიიღო.

– რამდენი წევრია ანსამბლში და აქვთ თუ არა მათ მუსიკალური განათლება?

– „ბოლნელაში“ სულ ცხრა გოგო მღერის. მუსიკალური განათლება ზოგიერთ მათგანს მხოლოდ საშუალო სკოლის დონეზე აქვთ. აკადემიური სამუსიკო განათლების არქონის ფონზე, დასაფასებელია მათი ნიჭიერება. მთავარი ის არის, რომ გოგონებს ძალიან უყვართ ეს საქმე. ისინი დიდი ენთუზიაზმით ემსახურებიან ამ დარგს და საკუთარი ნიჭისა და მონდომების წყალობით საკმაოდ კარგ შედეგსაც აღწევენ.



ანსამბლის ლოგო

– რა პრინციპით ხდება ანსამბლში რეპერტუარის შერჩევა?

– რეპერტუარის შერჩევას ვითვალისწინებთ როგორც მომღერლების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ასევე პიროვნულ თვისებებსა და ამა თუ იმ სიმღერისადმი მათ სუბიექტურ დამოკიდებულებას. გოგონებს გამორჩეულად ინდივიდუალური, ფართო დიაპაზონისა და ლამაზი ტემბრის ხმები აქვთ, რაც ხელს უწყობს რეპერტუარის მრავალფეროვნებას.

რაც შეეხება რეპერტუარის დიალექტურ და გენდერულ ბალანსს: მოგეხსენებათ, ბოლნისი და, ზოგადად, ქვემო ქართლი არა მხოლოდ ეთნიკური, არამედ დიალექტური სიტრელითაც გამოირჩევა. ბოლნისში ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებულები – სვანები, რაჭველები, იმერლები, მეგრელები... ეს მრავალფეროვნება ანსამბლის შემადგენლობასაც შეეხო და რეპერტუარზეც შესაბამისად აისახა. „ბოლნელა“ ქალთა ანსამბლია და, ბუნებრივია, გარკვეული აქცენტი ქალთა ტრადიციულ სიმღერებზე გვაქვს, თუმცა ვასრულებთ მამაკაცთა სიმღერებსაც. რა თქმა უნდა, „ნადურის“ სირთულისა და კრიმანჭულიან ნიმუშებს ჩვენ ვერ შევეჭიდებით, მაგრამ ისეთი სიმღერები, როგორიცაა „გახსოვს ტურფავ“, „გურული ფერხული“, „ოკრიბული“ და სხვა – ჩვენს რეპერტუარშიც არის. ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში გარკვეულ ადგილს ქალაქური სიმღერებიც დაიკავენ.

– როგორ ხდება სიმღერებზე მუშაობა? სანოტო ჩანაწერებით ხელმძღვანელობთ, თუ უპირატესობას აუდიონიმუშებს ანიჭებთ?

– გოგონათა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი სიმღერების ათვისებას თავს საკმაოდ ადვილად ართმევენ. სწავლის პროცესში უმეტესად აუდიოჩანაწერებს ვეყრდნობით;

სანოტო ვერსიები დამხმარე ფუნქციის მატარებელია. ძირითადად ძველი მომღერლების ჩანაწერებს ვიყენებთ, თუმცა უარს არც თანამედროვე ანსამბლების პოპულარულ ვარიანტებზე ვამბობთ. მაგალითად, ანსამბლ „ნანინას“ რეპერტუარიდან შევისწავლეთ ორი სიმღერა: რაჭული „ორიდილი“ და იმერული „ბებიელა“. საშემსრულებლო პრინციპისა და შემოქმედებითი მიმართულების მხრივ მნიშვნელოვანია, რომ „ბოლნელა“ მხოლოდ ტრადიციულ საკრავებს იყენებს და სიმღერებს, შეძლებისდაგვარად, ფერხულისა და ცეკვის თანხლებით ასრულებს.



ანსამბლი „ბოლნელა“ VII საერთაშორისო სიმპოზიუმზე

– რამდენად ხშირად იკრიბებით და გაქვთ თუ არა სარეპეტიციო ფართი?

– რასაკვირველია, საშუალება და პირობები გვაქვს. სარეპეტიციოდ კვირაში ორჯერ ან სამჯერ, კულტურის ცენტრში ვიკრიბებით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც განსაკუთრებული მაღლიერებით უნდა მოვეკიდოთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლნისის ფოლკლორული ცხოვრება მხოლოდ „ბოლნელას“ არსებობით არ შემოიფარგლება: მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ბოლნისში შეიქმნა ტრადიციული მუსიკის მიმართულება, რომელსაც ახალგაზრდა ლობბარი სოსო კოპალეიშვილი ხელმძღვანელობს. მასში, „ბოლნელასთან“ ერთად, მამაკაცთა და ბავშვთა ანსამბლებიცაა გაერთიანებული. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, მისასაღებელია. ისეთ რაიონებშიც კი, სადაც ტრადიციული მუსიკის განვითარების მხრივ უკეთესი პირობებია, მსგავსი მიმართულება არ არსებობს. მინდა დიდი მაძლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც ამ საქმეს ასე მხარში უდგანან.

– სამომავლო გეგმებზეც გკითხავთ...

– სანამ სამომავლო გეგმებზე გეტყოდეთ, „ბოლნელას“ უკვე განხორციელებულ პროექტებზე მოგახსენებთ. ანსამბლმა პრეზენტაცია-კონცერტი გამართა ბოლნისის კულტურის ცენტრსა (2013) და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში (2014). „ბოლნელა“ მონაწილეობდა საჩხერის ფესტივალში „მრავალჯამიერ“ (2013), ბათუმის გიგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალში (2013) და ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმში (2014). მუშაობა დაწყებული გვაქვს აუდიოალბომზეც: თორმეტი სიმღერა უკვე ჩავწერეთ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მოძრავი ხმის ჩამწერი სტუდიის დახმარებით. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მაძლობა გადავუხადო ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელობას, რომელმაც ამის საშუალება მოგვცა. ვფიქრობთ, შემოდგომისთვის „ბოლნელას“ საკუთარი აუდიოალბომი ექნება.

გარდა ამისა, ბოლნისში ტრადიციული მუსიკის მიმართულებამ სოსო კოპალეიშვილის თაოსნობით განხორციელა ახალი პროექტი – „სამი თაობა“. ეს გახლავთ ეთნოგრაფიული სპექტაკლი „წუთისოფელი“, რომელიც სიმღერით გადმოსცემს ქართველი კაცის ცხოვრებას, მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე. სპექტაკლში აქვთ დასაქმებული სხვადასხვა კუთხისა და ჟანრის სიმღერები. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის პროექტი, რამდენადმე განსხვავებული კონცეფციითა და აბსოლუტურად სხვა მუსიკალური მასალით, 1997 წელს, ანსამბლების – „მთიებისა“ და „მზეთამზის“ მიერ განხორციელდა. 21 მაისს ყველა მუნიციპალური ფოლკლორული ანსამბლის („ბოლნელა“, „ორბელი“, „სიონი“, „ბოლნისი“, „ალილო“) მონაწილეობით ბოლნისის კულტურის ცენტრში შედგა ეთნოგრაფიული სპექტაკლის „წუთისოფლის“ პრემიერა. ამ უაღრესად მნიშვნელოვანმა მოვლენამ არა მხოლოდ გამოაცოცხლა რეგიონის ფოლკლორული ცხოვრება, არამედ ძალიან დიდი შემეცნებითი ღირებულებასაც შეძინა. იმედი მაქვს, ეს პროექტი არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი წარმოდგენით და რამდენჯერმე კვლავ მოუწევს სცენაზე გაცოცხლება.

– გისურვებთ წარმატებებს!

ინტერვიუ ჩაიწერა ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტმა
სოფიკო კოტრიკაძემ

უცხოური მრავალხმიანობა
ეპირის ტრადიციული
ისო-მრავალხმიანი სიმღერა



მერი-სოფია ლაკოპულოსი

ეპირული ისო-მრავალხმიანობა გულ-ისხმობს ტრადიციულ მრავალხმიან სიმღერას, გავრცელებულს ე.წ. ეპირის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს სამხრეთ ალბანეთსა და ჩრდილო-დასავლეთ საბერძნეთს, თუმცა ისო-მრავალხმიანობა გვხვდება საბერძნეთის მაკედონიასა და დასავლეთ მაკედონიაშიც.

ეპირის მრავალხმიანი ფორმა, სავარაუდოდ, წარმოიშვა წინა-ელნიურ პერიოდში. მრავალხმიანი სიმღერების მელოდიებში შენარჩუნებულია პენტატონიკური წყობა. ეპირული ისო-მრავალხმიანობა არის ვოკალური, კოლექტიური, მოდალური ხასიათის. ეპირული ისო-მრავალხმიანობის ერთ-ერთი მახასიათებელია ბურდონი – ე.წ. “ისო”.

ალბანეთში ისო-მრავალხმიანობა გაცილებით დიდ ტერიტორიაზე გვხვდება, ვიდრე საბერძნეთში. ჩრდილოეთ ალბანური სიმღერა განსხვავდება სამხრეთ ალბანური სიმღერისაგან. ჩრდილოეთ ალბანეთში (გედერია) სასიმღერო ტრადიცია უმეტესად მონოდიურია. მრავალხმიანი სიმღერები იშვიათია და ფიქსირდება მთიან მხარეში. ქვეყნის სამხრეთი ნაწილი კი ეპირული ისო-მრავალხმიანობის ტერიტორიაა. ალბანური ისო-მრავალხმიანობა 2005 წელს იუნესკო-მ კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის შედეგად აღიარა. თუმცა, მანამდეც, ათწლეულების განმავლობაში, ისო-მრავალხმიანობა ალბანეთის მნიშვნელოვან ეროვნულ მახასიათებელს წარმოადგენდა. ეპი-

რული ისო-მრავალხმიანობა გვხვდება ტოსკერიში, მიზექეში, კამერიასა და ლაბერიაში.

ეპირული ისო-მრავალხმიანობის ზოგადი მახასიათებლები:

ეპირული ისო-მრავალხმიანობის ერთ-ერთი მახასიათებელია ბურდონი – ე.წ. ისო. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი *ისო* დაკავშირებულია ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის *ისონთან*, მიიჩნევენ, რომ ეპირის მრავალხმიანი სიმღერა ბიზანტიურ საეკლესიო მუსიკაზე ძველია. სახელწოდება ისო-მრავალხმიანობა ნაწარმოებია სიტყვიდან ისო, რაც ბერძნულად „თანაწორს“ ნიშნავს და გულისხმობს ბურდონს ამ კონტექსტში (ვინაიდან ნაგულისხმევია ბურდონი ბიზანტიურ საგალობელში).

ეპირული ისო-მრავალხმიანი სიმღერა ითვლება სოციალურ, და არა მხატვრულ მოვლენად. თუმცა, ჩვენს დროში, როდესაც საზოგადოებამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, ისო-მრავალხმიანობის შესრულება ხშირად მეტ-ნაკლებად მხატვრულია.

ეპირული ისო-მრავალხმიანი მელოდიები პენტატონიკური წყობისაა.

ტრადიციული ეპირული ისო-მრავალხმიანობა წარმოდგენილია ორ, სამ და ოთხხმიანი სიმღერებით.

სამხმიან ნიმუშებს, სულ ცოტა, ოთხი შემსრულებელი, ხოლო ოთხხმიანს – ხუთი შემსრულებელი ჰყავს. მთავარი ფორმა ორი ხმისგან შედგება, სადაც ხმების მელოდიურ განვითარებას თან ახლავს გაბმული ისო.

სამხმიანი ისო-მრავალხმიანი სიმღერა ყველაზე გავრცელებული ტიპია. მრავალხმიან კოლექტივები, სულ ცოტა, ოთხი წევრისგან შედგება: ორი სოლისტი და ბანები. ბანის პარტია ერთ ბგერაზე სრულდება ერთზე მეტი მომღერლის მიერ. ამას პრაქტიკული მიზეზი აქვს: მომღერლებს ჩასუნთქვის საშუალება მისცეს. ბანის შემსრულებლები ინარჩუნებენ სიმღერის რიტმს.

ხმების როლი ტრადიციულ ეპირულ სიმღერაში

ეპირული ისო-მრავალხმიანობის შემსრულებელი ჯგუფის თითოეული ხმას თავისი ფუნქცია აქვს: პირველი სოლისტი, სიმღერის დამწყები არის *ამღები*, *ამწვევი*, *ხმის გამქაჩავი*. მეორე მომღერალი – *შემომტრიალებელი* ან *მომწუქურთმებელი*, რომელიც პირველი ფრაზის ბოლოს ან ფრაზის შუაში პირველს პასუხობს სეკუნდით, კვარტით ან კვინტით ქვემოთ. ურთიერთობა პირველ მო-

მღერალსა და შემომტრიალებელს შორის არის ეპირუსის ისო-მრავალხმიანობის ძირითადი მახასიათებელი. ალბანურში ზოგჯერ *შემომტრუნებლის* ნაცვლად შეიძლება შეგვხვდეს *მრთველი*. *შემომტრუნებლის* ფუნქციით *მრთველის* ჩანაცვლება ფალცეტში დაბრუნების დროს ზოგჯერ იოდლს ჰგავს. სახელწოდება *მრთველი* წარმოიშვა ტონიკასა და გამის მეშვიდე საფეხურს შორის მელოდირი მოძრაობის მსგავსებიდან ძაფის რთვის დროს თითისტარის ჭერის მანერასთან. მესამე ხმა (თუ სიმღერა ოთხხმიანია) *მსროლელია*. ალბანურ სიმღერაში *მსროლელი* ჩვეულებრივ მღერის შეძახილებით: *ოი-ოი, ან ბუ ბუ*. ბერძნულში – *აჰ ოჰ ოჰ* ხოლო არუმინულში – *აბ, აიდუ, ლელე, მოი* რომელიც შეიძლება გარდაიქმნას მცირე ტერციად.

ისო-მრავალხმიანი სიმღერის სტილური რეგიონული განსხვავებები

ეპირუსში არსებობს ისო-მრავალხმიანობის ორი ძირითადი სტილი, ერთი სტილი ხასიათდება გაბმული ბანით მარცვლებზე „ე“ ან „ე“, ხოლო მეორე – სიმღერის ტექსტზე ნამღერი რეზიტაციით ან ხმოვნების „უ“ ან „უე“ გამღერებით. პირველ სტილში პორი-ზონტალური გავითარების ტენდენცია შეინიშნება, მეორეში კი – ვერტიკალური.

ისო-მრავალხმიანობის ე.წ. „პირველი სტილი“ (გაბმული ბანით) ალბანეთში ცნობილია როგორც „ტოსკ“ სიმღერა (Kenge to-ske) ან ტოსკეს ისო-მრავალხმიანობა. ალბანეთში ის გვხვდება ტოსკერიას, მიზექესა და ჩამერის რეგიონებში. ტოსკის სტილში მღერის ალბანეთისა და საბერძნეთის არუმინელების ჯგუფი (ფარსეროტები). პირველი სტილის (ტოსკეს მრავალხმიანობის) ერთ-ერთი განმასხვავებელი თვისება არის მისი იმიტაციური ბუნება. იმიტაციის დროს გამოიყენება როგორც რიტმული, ისე მელოდირი ელემენტები. *შემომტრიალებლის* მეორე ხმა ვითარდება იმიტაციის გზით, პირველზე (*აბ-დებზე*) მელოდირი ვარიაციების დამატებით.

„პირველი სტილის“ მრავალხმიანობაში *მრთველი* არ არის.

მრავალხმიანობის „მეორე სტილისთვის“ დამახასიათებელია რიტმული ბურდონი. არსებობს ბურდონის შესრულების სამი სხვადასხვა ხერხი.

1) რიტმული ბურდონი მიჰყვება სიმღერის ტექსტის რიტმს.

2) მეორე ხერხი გულისხმობს გაბმულად მღერას ხმოვანზე „უ“ ან „უე“ მთელი ტექსტის განმავლობაში.

3) მესამე ორივე სტილს აერთიანებს. ტექსტი მკაფიოდ არ ისმის. ხმოვნების ელფერი შეცვლილია და ძირითადად „ო“-ს, „ე“-სა და „ე“-ს შორის ვარირებს.

„მეორე სტილში“ ორ-, სამ- და ოთხხმიანი სიმღერები სრულდება. ორხმიან სიმღერებს მხოლოდ ქალები ასრულებენ, სამხმიან სიმღერებს, მათი შერეული ხასიათის გამო, მამაკაცებიც ასრულებენ და ქალებიც. სტრუქტურულად, ოთხხმიანი ისო-მრავალხმიანობა იგივე თვისებებს ამჟღავნებს, რასაც სამხმიანი ტიპი *მსროლელის* დამატებით.

„პირველ სტილში“ ისო უწყვეტად გრძელდება, ხოლო მეორეში მას გარკვეული ხნით *მსროლელი* წყვეტს (იწვევს რა ხანმოკლე პაუზებს).

მიუხედავად ორ ჯგუფად განაწილებისა, სხვადასხვა რეგიონში ისო-მრავალხმიანობის შესრულებაში არსებობს ადგილობრივი თავისებურებებიც. ისტორიკოსი, ენათმეცნიერი და მკვლევარი კაბეი აღიარებდა, რომ ლაბერიაში არსებობდა „ხმელეთის ისო-მრავალხმიანობა“ და „ზღვისპირეთის ისო-მრავალხმიანობა“. პირველი სრულდებოდა მთიანეთში, ხოლო მეორე – ზღვისპირეთის მიმდებარე რეგიონებში. „ზღვისპირეთის მრავალხმიანობაში“ ზღვის დანახვა შესაძლებელია იმპრესიონისტულ დონეზე; სიმღერაში იგრძნობა წყლის, ტალღების მოძრაობა, ხოლო „ხმელეთის მრავალხმიანობა“ ასახავს მკაცრ მთიან გარემოს.

მერი-სოფია ლაკოპულოსი ფინელი თავისუფალი მუსიკოსი

ექსპედიცია კლარჯეთში

8-18 მაისს, თამაზ კრავიშვილთან ერთად ვიმყოფებოდი კლარჯეთში, კერძოდ მურღულის რაიონში. თუ არ ჩავთვლით 2007 წელს ენათმეცნიერ თინა შიოშვილის მიერ ფიქსირებულ რამდენიმე ნიმუშს, კლარჯულ მუსიკალური ფოლკლორზე, სამწუხაროდ არანაირი მასალა არ მოგვეპოვებოდა. ჩემი ექსპედიციის მიზანს სწორედ კლარჯული მუსიკის დაფიქსირება და შემდგომ შესწავლა წარმოადგენდა. ამ მიზნით მოვიარე ქალაქი მურღული და რამდენიმე სოფელი: Korucular (გეული), amar (ისკები), Akantaş (ბუჯური), renköy (ერენქოი), Başköy (ბაშქოი), Ardıçlı (დურჩა) და Çimenli (ქორდეთი).



სოფელი ქორდეთი

ექსპედიციამ აჩვენა, რომ დღევანდელი კლარჯეთი დიდად განსხვავდება იმ კლარჯეთისგან, რომელიც ქართული ცივილიზაციის ერთ-ერთ მძლავრ კერად ითვლებოდა. სამწუხაროდ, საკულტო სიმღერები აქაურების მუსიკალურ მესხიერებას აღარ შემორჩა. ეს მით უფრო დასანანია, რომ ტაო-კლარჯეთი ოდესღაც ქართული ქრისტიანული ცივილიზაციის აკვანი გახლდათ. გამიჭირდა იმ უანრის სიმღერების სრულფასოვანი ჩაწერაც, რომლებიც ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამქრალა (ნანები, საქორწინო სიმღერები, სუფრულები, შაირები): ზოგს შერცხვა, ზოგმა კარგად ვერ გაიხსენა, ზოგ შემთხვევაში შემსრულებელთა არასაკმარისი რაოდენობის გამო მოხდა ჩაწერის შეფერხება. შემხვდნენ ისეთებიც, რომელთაც ქალთა საჯაროდ სიმღერა ცოდვად მიაჩნიათ და ა.შ.

კლარჯულ მეტყველებაში შემორჩენილია სიტყვა „მოხანება“ (კლარჯულად *მუხანება*), მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ნიშნავს არა ბანის მი-

ცემას, არამედ დამწყების ხმაში აყოლას. განსაკუთრებით აღსანიშნავი და გასაოცარია სეკუნდების პარალელიზმი, რომელიც შესრულების თითქმის მთელ პროცესს გასდევს. პარალელური სეკუნდების უღერადობა, ბუნებრივია, ორხმიანია, მაგრამ მას არანაირი საერთო არ აქვს ქართულ მრავალხმიანობასთან. როდესაც პირველად ამგვარ მოვლენას (ანუ პარალელურ სეკუნდებს) წავაწყდი, ვიფიქრე, რომ ეს დიდი ხნის განმავლობაში შეუმღერებლობის გამო იყო წარმოქმნილი (ანუ უნისონში ზუსტად ვერ მღეროდნენ), მაგრამ შემდგომმა ჩანაწერებმა და, რაც მთავარია, ძველი კასეტების გაცნობამ (რომელთა დიდი უმრავლესობაც 30-35 წლის წინ ჩაწერა თავად კლარჯეთელმა, სოფელ დურჩაში დაბადებულმა და მცხოვრებმა სელატინ ჰაჯიოვლიმ) დამარწმუნა, რომ ეს სრულებითაც არ გახლდათ შემთხვევითი მოვლენა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თვითონ კლარჯელები ამ სიმღერებს ერთხმად ნიმუშებად მიიჩნევენ.



მოხუცი ეთნოფორები სოფელ დურჩადან

განსაკუთრებით პოპულარულია ჰანგი „სოლე რუმინაიანა“. იგი გვხვდება საარქივო ჩანაწერებშიც. ყველაზე მეტად სეკუნდების სიუხვით სწორედ ეს ნიმუში გამოირჩევა.

რაც შეეხება სხვა სიმღერებს, ძველ ჩანაწერებში კოლექტიური შესრულების ნიმუშები ჯერ არ შემხვედრია. ჩემს ჩანაწერებში კი ისინი ერთ ხმაზე იმღერება.

ტრადიციული მრავალხმიანობის დაკარგვა კლარჯეთში არ გამკვირვებია, მით უფრო, რომ გასულ წლებში საკუთარი თურუსთაველის ფონდის ფინანსებით საექსპედიციო სამუშაოები ჩავატარე საინგილოში, ლახეთში, შავშეთსა და ტაოში, სადაც ასევე ვერ მოხერხდა მრავალხმიანი სიმღერის ფიქსირება.

უნდა აღვნიშნო, რომ კლარჯული მუსიკალური ფოლკლორი არათუ ვარიანტუ-

ლად, ჟანრულადაც ძალიან მწირი ჩანს და სასურველია მისი დროულად შესწავლა და ფიქსაცია, რადგან გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე დგას. არათუ სიმღერები, ახალგაზრდობა ქართულად აღარც კი მეტყველებს, მათ კი, ვისაც მშობლიური ენა მეტ-ნაკლებად ახსოვთ, ხშირად აღუნიშნავთ, რომ ჩვენ მისვლა დაგაგვიანეთ, რომ მათმა მშობლებმა გაცილებით მეტი იცოდნენ...

რაც შეეხება საკრავიერ მუსიკას, მართალია, ადრე აკორდეონი ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ერენქოს გარდა სხვაგან ვერ მოვახერხებ მისი ფიქსირება, ვინაიდან ამ საკრავზე დამკვრელები მურღულს აღარ შემორჩა. ძველ კასეტებზე ჩაწერილი ჰანგები კი, ისევე, როგორც სოფელ ერეგუნაში ყადემ გორმუშისგან ჩაწერილი ნიმუშები, ქართული ტრადიციული მუსიკისაგან ძალიან შორსაა.

სამწუხაროდ, ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორი (ლაზური, ტაოური, კლარჯული, შავშური, ინგილოური...) დიდ დეგრადაციას განიცდის. ვოკალური მრავალხმიანობა ფაქტობრივად დაკარგულია, გაქრობის საფრთხე ემუქრება ამ კუთხეების მთელ მუსიკალურ (და არამარტო მუსიკალურ) ფოლკლორს, ამიტომ ამ მიმართულებით ხშირი ექსპედიციების მოწყობა განსაკუთრებით საშური საქმეა.

გიორგი კრავეიშვილი
*თბილისის ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის დოქტორანტი*

*უცხოელები ქართული ფოლკლორის
შესახებ*

მსგავსება ტოსკებისა და არუმინელი ფარსეროტების ისო- მრავალხმიანობასა და აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიანობას შორის

ქართველი ეთნომუსიკოლოგის, ედიშერ გარაყანიძის თანახმად, საქართველოში, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად იყოფა, არსებობს თექვსმეტი რეგიონული სტილი (ანუ დიალექტი). დასავლეთ საქართველოში გვხვდება კონტრაპუნქტული მრავალხმიანობა, აღმოსავლეთის რეგიონებისთვის კი, განსაკუთრებით, ქართლ-კახური მუსიკალური დიალექტებისთვის, დამახასიათებელია ჰომოფონიური მრავალხმიანი ფორმა ბურღონული ბანით, რომელიც ორი სახისაა: გაბმული, რომელიც ცალკეულ ხმოვნებს მღერის და მინიმალურად მოძრაობს (კახეთი) და რეჩიტატიული, რომელიც სხვა ხმებთან ერთად იმეორებს სიმღერის ტექსტს (ქართლი).

მსგავსი სურათი გვაქვს ეპირულ ისომრავალხმიანობაშიც. აქაც ორი სახის ბანი წარმოქმნის ორ განსხვავებულ სტილს: „პირველი სტილისთვის“ დამახასიათებელია გაბმული ბანი ერთ ხმოვანზე „ე“, ხოლო „მეორე სტილში“ ბანი რიტმულად მიჰყვება სიმღერის ტექსტს ხმოვნებით „უ“ ან „ეუ“.

„პირველი სტილი“ ჰორიზონტალური, იმიტაციური განვითარების ტენდენციით ხასიათდება და გვხვდება ტოსკერიაში, მიხეკესა და ჩამერში, ასევე – არუმინელებთან (ე.წ. ფარსეროტებთან) ალბანეთსა და საბერძნეთში. ამ სტილს ჰქვია „ტოსკეს მრავალხმიანობა“ ან „ტოსკეს სიმღერა“.

„მეორე სტილი“ კი ვერტიკალური განვითარების ტენდენციას ამჟღავნებს და გვხვდება ლაბერიაში ალბანელებთან, ასევე, ლაბერიასა და ეპირუსის ბერძნულ ნაწილში მცხოვრებ ბერძნებთან.

სამხმიანი სიმღერა ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე ტოსკეს მუსიკალური სტილისთვის. ორი სოლისტის მონაცვლეობა მდგრადი ბანის ფონზე დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიანობისთვის – განსაკუთრებით ქართლური და კახური მრავალხმიანი სიმღერებისთვის, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებისთვისაც. პარადელები აშკარაა ტოსკეს სტილის (არუმინელი ფარსეროტები) ისომრავალხმი-

ან სიმღერებსა და ფშაურ, ქართლურ და კახურ ნიმუშებს შორის.

„ტოსკეს სტილის“ ისო-მრავალხმიანი სიმღერები ორ- ან სამხმიანია. ოთხხმიანი ვარიანტები გვხვდება „მეორე სტილის“ ისო-მრავალხმიან სიმღერებში. პირველი სტილის დამახასიათებელი ხმებია: პირველი ხმა, ე.წ. *ამლები*, მეორე მომღერალი, ე.წ. *შემომტრიალებელი*, რომელიც სიმღერას აჩუქურთმებს და ე.წ. *ისოს* მცველები, რომელთა ფუნქციაა *ბანის* შენარჩუნება. ტოსკეს ისო-მრავალხმიანობაში არ ფუნქციონირებს *მრთველი* და *მსროლელი*, ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიანობაში არ არსებობს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ოთხხმიანობა და *კრიმანჭული*.

ისო-მრავალხმიანობაში პირველი მომღერალი – *ამლები* არის ის, ვინც სიმღერას იწყებს. ის ფუნქციონირებს, როგორც ერთგვარი მთხრობელი და ჯგუფის ლიდერი.

ქართულ მრავალხმიანობაში *მოქმელი* აღნიშნავს პირველ ხმას, რომელიც სამხმიან სიმღერებში, ჩვეულებრივ, წარმოადგენს შუა ხმას, ორ-ხმიან სიმღერებში კი – ზედა ხმას. არსებობს პირველი ხმის სხვა სახელწოდებებიც, მაგრამ *მოქმელი* ყველაზე გავრცელებულია.

მეორე მომღერალს, მოპასუხეს, ისო-მრავალხმიანობაში *შემომტრიალებელს* ან *მომჩუქურთმებელს* უწოდებენ.

ქართულ მრავალხმიანობაში მოპასუხეს *მოდახილი* ჰქვია, რადგან ის პირველ ხმას, მოქმელს მოსძახებს. ის თან ახლავს ძირითად (შუა) ხმას. როგორც ჩანს *მოდახილი* იგივე როლს ასრულებს, რასაც *შემომტრიალებელი*. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ქართულ სიმღერებში *მოდახილი მოქმელზე* მაღლა სრულდება, *შემომტრიალებელი* კი – *ამლებზე* დაბლა.

ბურღონის ჯგუფი მოიცავს *ისოს* შემსრულებლებს. ტოსკეს ტიპის მრავალხმიანობაში *ისოს* მცველების ფუნქციაა, შეინარჩუნონ სტაბილურობა და შექმნან მყარი ტონალური ბაზა სხვა ხმებისთვის. ქართულად სიტყვა „ბანი“ ნიშნავს „ბრტყელ სახურავს“, თუმცა მუსიკაში ესაა მყარი საყრდენი ზედა ხმებისთვის. ეპირულ ისო-მრავალხმიანობაში ისო შეიძლება შესრულდეს ინსტრუმენტის მიერ. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია არომანული და ტოსკეს სიმღერებისთვის.

ამგვარად, განსხვავებული ეტიმოლოგიის, მაგრამ მსგავსი ფუნქციის მქონეა ტერმინები *მოქმელი* და *ამლები*. ერთმანეთს ძალიან ჰგავს *მოდახილი* და *მომჩუქურთმებელიც*. განსხვავება მდგომარეობს იმაში,

რომ ქართულ სიმღერებში *მოდახილი მოქმელზე* მაღლა ადის.

სოლისტების მონაცვლეობა ერთ-ერთი სტილური მსგავსებაა აღმოსავლეთ საქართველოსა და ტოსკეს მრავალხმიანობას შორის. „კითხვა-პასუხის“ ტიპის სიმღერებში ერთმანეთის მსგავსია ტოსკეს მრავალხმიანობის პირველი და მეორე მომღერლის მონაცვლეობა და აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიანი სიმღერების ანტიფონური სტრუქტურა. ტოსკეს მრავალხმიანობაში *ამლები* იწყებს და *დამბრუნებელი* პასუხობს გაბმული ბანის ფონზე; კახურ სიმღერებში *მოქმელი* იწყებს და *მოდახილთან* მონაცვლეობს.

ჩამერული ისო-მრავალხმიანობისთვის, ისევე, როგორც ქართლ-კახური სუფრული სიმღერებისათვის, დამახასიათებელია იმპროვიზაცია და მელიზმური ორნამენტები.

ორივე შედარებული სტილისთვის საერთოა ბურღონის ჰორიზონტალური განვითარება.

აღმოსავლეთ საქართველოს, ძირითადად ქართლ-კახურ სიმღერებში ზედა ორი ხმა (სოლისტები) პარალელურ ტერციებში მღერის, რაც ასევე თვალშისაცემია ტოსკეს ისო-მრავალხმიანობის ზოგიერთი ნიმუშში. როგორც ქართულ, ისე ეპირულ ტრადიციულ მრავალხმიანობაში გვხვდება მსგავსი უანრის სიმღერები: ნანები, ტირილები, საქორწილო და შრომის სიმღერები.

შესამჩნევი განსხვავება ტოსკეს ისო-მრავალხმიანობასა და აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიანობას შორის შეიძლება იყოს, მაგალითად, ბანის ხმოვანი ბგერების უდერალობა. ქართულში ბანი ძირითადად ხმოვან ო-ზე (ზოგჯერ ეო-ზე) სრულდება, ხოლო ტოსკესა და არუმინულ ისო-მრავალხმიანობაში *e* ან *ě*–ზე. ხმოვანი დიდ განსხვავებას განაპირობებს: ხმოვან – *e*-ზე მღერის დროს ბგერა ცხვირისმიერი, ხოლო ხმოვან ო-ზე მღერისას – არაცხვირისმიერი.

გარდა ამისა, ტოსკესა და არუმინული მრავალხმიანობა იმიტაციური ბუნებისაა: იმიტაციაში გამოყენებულია როგორც რიტმული, ისე მელოდიური ელემენტები. მეორე ხმა – *მომტრიალებელი* იმიტაციურად ავითარებს პირველ ხმას – *ამლებს*, ზოგჯერ მელოდიის მცირედი ვარიანტით. ჩვეულებრივ, მეორე ხმა ერთვება პირველი ხმის პირველი ფრაზის ბოლოს და „პასუხობს“ მის „შეკითხვას“.

ქართულ მრავალხმიანობაში ასეთი იმიტაციური ელემენტი არ გვხვდება, მაგრამ გვხვდება ანტიფონები და ორი სოლისტის მონაცვლეობა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება არის მოდულაციების ნაკლებობა და პენტატონიკური კილო ისო-მრავალხმიანობაში. ეპირული სიმღერები ეფუძნება ხუთ საფეხურიან ბგერათრიგს, მაშინ, როცა აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებში (როგორც ზოგადად ქართულ მრავალხმიანობაში) ბგერათრიგი უშეტესად დიატონურია და მიქსოლიდიური კილო სჭარბობს. მხოლოდ კვლევისათვის (შესადარებლად) შეკრებილ ხევესურულ სიმღერებში წავაწყდით პენტატონიკის ელემენტებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიან ნიმუშებში ბანი იცვლება – ორ-სამბგერიან დიაპაზონში მოძრაობს, შესაბამისად, ხდება მოდულაციებიც, ტოსკეს სტილში კი ბანის ბგერა უცვლელია და არც მოდულაციები გვხვდება.

გარდა ამისა, ხალხურ სიმღერაზე დაფუძნებულ ქართულ სასულიერო მუსიკას დღემდე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ მართლმადიდებლურ საეკლესიო ღვთისმსახურებაში, ხოლო ეპირული ისო-მრავალხმიანობა ეკლესიაში არასდროს იმღერებოდა: აქ ბიზანტიურ საგალობლებს ასრულებდნენ. თუმცა, მართალია, ტოსკეს აღბანელებისა და არუმინელი ფარსეროტების სიმღერების ტექსტები სიმღერის რელიგიურ ასპექტზე იშვიათად მიუთითებენ, ისინი მეტნაკლებად მაინც უკავშირდება ტომორის მთას, რომელსაც ტოსკებიცა და ფარსეროტებიც წმინდა მთად მიიჩნევენ.

დაბოლოს, ქართული მრავალხმიანი სიმღერა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, ისევე, როგორც ტოსკეს მრავალხმიანობა – ალბანურისა.

მერი-სოფია ლაკოპულოსი
ფინელი თავისუფალი მუსიკოსი

*ქართული კულტურისა და მეცნიერების
კერები*

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

პირველი მუზეუმი ღია ცის ქვეშ კავასიაში 1966 წ. 27 აპრილს თბილისში დაარსდა ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მიერ.

მუზეუმის შექმნის იდეა საქართველოში XX ს. 30-იანი წლებში გაჩნდა და მსოფლიო სამუზეუმო პრაქტიკიდან მოდის. 1946 წლიდან საუბრობდა გ. ჩიტაია ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმის მნიშვნელობასა და საქართველოში მისი გახსნის აუცილებლობაზე. მას გვერდში ედგა ეთნოგრაფთა და არქიტექტორთა მთელი თაობა. ამ იდეის განსახორციელებლად ისინი ორი ათეული წლის მანძილზე ატარებდნენ საველე და თეორიულ-კვლევით სამუშაოებს, თუმცა დაფინანსება მუზეუმის მოსაწყობად მხოლოდ 1964 წელს გამოიყო.

მუზეუმის გენერალური გეგმის პროექტი 1968 წელს დამტკიცდა. მისი ავტორი იყო ცნობილი არქიტექტორი, პროფესორი ლონგინოზ სუმბაძე, კონსულტანტი – აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია.

მუზეუმის გენერალური გეგმა თავის დროზე ფართო საზოგადოების განხილვის საგნად იქცა. გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე განხილვის გარდა, საქართველოს ყველა კუთხეში ავრცელებდა თავის იდეებს. იგი თვლიდა, რომ „კეთდებოდა ძალიან დიდი სახალხო საქმე და მასში ხალხის უშუალო მხარდაჭერა და ქმედითი მონაწილეობა ამ წამოწყების წარმატების საწინდარი გახდებოდა“. მისი ხელმძღვანელობით გროვდებოდა ტექსტუალური თუ ნივთიერი მასალა, დგინდებოდა სამუზეუმო ექსპონატების მნიშვნელობა და გავრცელების არეალები.


მაღე სამუზეუმო საქმიანობამ საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო. მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდა ექსპონატების შერჩევასა და გადმოტანაში. მუზეუმის დაარსების შემდგომაც რეგიონები აქტიურად უვლიდნენ თავიანთი კუთხის ექსპონატებს.



გაცოცხლებული ისტორია სამეგრელოს სახლში

მუზეუმის შექმნისას უმთავრესი ამოცანა იყო ტერიტორიის შიდა დაგეგმარება. იგი ქვეყნის კულტურულ-ეთნოგრაფიული რეგიონების მდებარეობას უნდა დამთხვეოდეს.

შეიძლება ითქვას, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმი წარმოადგენს საქართველოს მინი-მოდელს და ასახავს მის მრავალფეროვან ეთნოკულტურას: დასახლების ფორმებს, ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლებს, მატერიალურ და სულიერ კულტურას, ქართველი ხალხის შრომით ბიოგრაფიას, შემოქმედებით აზროვნებასა და ესთეტიკურ გამოვლენას. იგი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის ძეგლთა საცავია.



ქართლის დარბაზი

მუზეუმის ტერიტორია (52 ჰა) დაყოფილია 11 ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონად, სადაც წარმოდგენილია საქართველოს სამი

ძირითადი სამეურნეო-კულტურული არეალი: აღმოსავლეთ საქართველოს ბარი, დასავლეთ საქართველოს დაბლობი, საქართველოს მთიანეთი.

მუზეუმში თავმოყრილია 70 საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონებიდან: ქართლ-კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია-სამეგრელო-იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, აჭარა, შიდა ქართლი.

ერთი ზონა ეთმობა ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებს.


პირველი ექსპონატები – თიანეთის სიონის V-VI ს. ბაზილიკა და ქვის აკლდამა (სამაროვანი) მუზეუმის ტერიტორიაზე 1966-67 წლებში დაბინავდა. დაცულია აგრეთვე აფხაზეთიდან (ეშერა) გადმოტანილი შუა ბრინჯაოს ხანის მეგალითური ნაგებობა – დოღმენი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულისაა და რელიეფური საფლავის ქვების მდიდარ კოლექციას მოიცავს.

მუზეუმში მოსულ დამოვალიერებელს შეუძლია თვალი გაადევნოს ქართული ხალხური საცხოვრებლის განვითარების ეტაპებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ერდო-გვირგვინიანი დარბაზული საცხოვრებელი ნაგებობანი უნიკალური კონსტრუქციით, ასტრალური სიმბოლოებით ორნამენტირებული დედაბოძებით. უძველესი საცხოვრებელი დარბაზი სოფელ ჭაჭკარიდან (სამცხე-ჯავახეთი) მე-17 საუკუნეს განეკუთვნება. ყურადღებას იპყრობს საჯალაბო და ოდა სახლები, აჭარული და ლაზური საცხოვრებლები, საკულტო ნაგებობა – ჯამე, ხითხურობის უნიკალური ორნამენტებით.

მუზეუმში ხუროთმოძღვრების ნიმუშებთან ერთად დაცულია მატერიალური კულტურის რვა ათასმდე ექსპონატი: სევადისა და ცვარას ტექნიკით შესრულებული სატევრები, თუშური ფარდაგები, საყოფაცხოვრებო ავეჯი, კერამიკის ნივთები, შრომის იარაღები და სხვა საინტერესო არტიფაქტები.

მუზეუმში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ცენტრი, პრეისტორიული ტექნოლოგიების ლაბორატორია და „ეთნოგრაფის სახლი“, სადაც დაცულია აკად. გიორგი ჩიტაიას მემორიალური კაბინეტი და ცნობილი ქართველი ეთნოლოგების წიგნსაცავი.

2005 წელს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან იტეგრაციის შედეგად, დაიწყო ახალი ეტაპი მუზეუმის განვითარებაში; მომზადდა ეთნოგრაფიული მუზეუმის განვითარების გეგმა.



საკულტო ნაგებობა

ამჟამად, მიმდინარეობს სარესტავრაციო და კონსერვაციის სამუშაოები, ეწყობა მუდმივმოქმედი გამოფენები „გაცოცხლებული ისტორიის“ ფორმატში, კოსტუმირებული წარმოდგენები. მივიწყებული რეწვის დარგების აღორძინებისა და პოპულარიზაციის მიზნით, გახაფხულსა და შემოდგომით სორციელდება ტრადიციული ხალხური რეწვის პროგრამა, სადაც გამოცდილი ოსტატები ნებისმიერი ასაკის დაინტერესებულ პირებს სთავაზობენ საინტერესო მასტერკლასებს.

მუზეუმის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ ვრცლად იხ. ბმული http://museum.ge/?sec_id=46

ერთი ხალხური საკრავის შესახებ აჭარპანი

აჭარპანი აფხაზური ჩასაბერი საკრავია. წარსულ დროში აფხაზეთში მესაქონლეობა მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო, შესაბამისად, მეჯოგეობა ერთ-ერთი ყველაზე საჭირო საქმიანობა გახდათ. სწორედ მეჯოგე-მწვემსების საყვარელი საკრავი და მათი განუყრელი თანმდევი ყოფილა აჭარპანი. იგი მზადდებოდა მაღალი, ღრუიანი ბალახოვანი მცენარისაგან, რომელიც მთებში იზრდებოდა. საკრავის სახელწოდება სწორედ ამ მცენარის სახელიდან მომდინარეობს (ლათ.: acharpin).


აჭარპანი უნო საღამურის მსგავსი საკრავია, თუმცა მასზე ბევრად გრძელი (70-90 სმ) და ტექნიკურად რთულად შესასრულებელი. მას მხოლოდ სამი ხვრელი აქვს, ამიტომ მოკლე დიაპაზონის ბგერათრივი გააჩნია, თუმცა, „გადაბერვით“ შესაძლებელია დიაპაზონის გაზრდა.

აჭარპანზე შემსრულებელი, დაკვრის პარალელურად, გამოსცემს ცხვირისმიერ ბგერას, რომელიც დუდუნს მოგვაგონებს და ბანის ფუნქციას ასრულებს საკრავიერი მელოდისთვის. ის ძირითადად გაბმულია, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, გარკვეული მელოდური ხაზიც აქვს. არის შემთხვევები, როცა ბანს სხვა შემსრულებელი ამბობს. იგი ოქტავაში ან კვინტაში სინქრონულად მიჰყვება მელოდიას.

აჭარპანს მეტად ნაზი, ხავერდოვანი ტემბრი აქვს. თითქმის შეუძლებელია სხვა რომელიმე ხალხურ საკრავზე შესრულებით ასეთი სპეციფიკური ხმოვანების მიღება.

აჭარპანზე სოლო ჰანგებს არ უკრავენ. ამ საკრავის თანხლებით სრულდებოდა ისტორიულ-საგმირო, შრომის და საყოფაცხოვრებო სიმღერები. განსაკუთრებით ცნობილია „ჯოგის ძოვების სიმღერები“, „მწვემსური სიმღერები“. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის მელოდის რიტმული სურათი და ინტონაციური მიმოქცევა მსგავსებას ავლენს მეგრული ლარჭემის ჰანგებთან, რაც ქართულ-აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის ნათესაობას ადასტურებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აჭარპანისებრი საკრავები საქართველოში წმინდა ინსტრუმენტული ჰანგებისთვისაა განკუთვნილი. ხმით ინსტრუმენტული მელოდის აკომპანირება ქართული მუსიკალური ინსტრუმენტული კულტურისთვის დამახასიათებელი არ არის. ეს აფხაზური ინსტრუმენტული მუსიკის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.

სამწუხაროდ, აჭარპანმა არაერთი საკრავის მსგავსად, დაკარგა სოციალური ფუნქცია (მოწყდა მწყემსურ ყოფას), მაგრამ აგრძელებს საკონცერტო პრაქტიკაში არსებობას. ბოლო დროს აფხაზეთში ენიანი აჭარპანის კეთება დაიწყო, რამაც საგრძნობლად გააადვილა საკრავზე შესრულება.



აფხაზი მეაჭარპანი

რამდენიმე წლის წინ ამ საკრავით ეთნომუსიკოლოგები – მალხაზ ერქვანიძე და ლევან ვეშაპიძე დაინტერესდნენ. ლევანმა საკუთარი ხელით დაამზადა აჭარპანი და ძველი აფხაზური ჩანაწერებიდან დამოუკიდებლად შეისწავლა მასზე დაკვრა. თვითონ *ლევან ვეშაპიძეს* ვთხოვეთ ამის შესახებ მოეთხრო:

– რამ გადაგაწყვეტინათ აჭარპანის გაცოცხლება?

– 90-ან წლებში მე და მალხაზ ერქვანიძეს ხელი მიგვიწვდა ტელერადიო ფონდში დაცულ ჩანაწერებზე, რომელთა შორის აღმოჩნდა აფხაზურ აჭარპანზე შესრულებული ნიმუშებიც. მაშინ ეს ჩანაწერები ჩვენ პირველად მოვისმინეთ, ძალიან მოვიხიბლეთ და ფაქტიურად ერთდროულად მოგვივიდა აზრი, რომ ეს ინსტრუმენტი გაგვეცოცხლებინა და აგვექვადრებინა.

– როგორც ვიცი, დიდხანს ატარებდით ექსპერიმენტებს საკრავის მასალის შერჩევის პროცესში.

– მოძიებული მწირი ინფორმაციის საფუძველზე, გამოვარკვიე, რომ ამ ინსტრუმენტს ამზადებდნენ დიყისგან, რომელსაც აფხაზურად „აჭარპინ“ ჰქვია. ეს არის ერთგვარი ანწლისმაგვარი მცენარე, რომელსაც ღრუიანი ღერო აქვს. თუმცა იქვე მითითებული იყო, რომ ამ ინსტრუმენტს ამზადებდნენ ლერწმისგანაც, ბამბუკისგანაც, სიმინდის ღეროსგანაც და თოფის ლულისგანაც კი. ჩვენ დავათვალიერეთ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული აჭარპანის რამდენიმე ნიმუში, ავიღეთ ზომები და ჩვენს მიერ მოგროვებული მთელი ეს ინფორმაცია გავუზიარეთ საკრავების ერთ-ერთ მეგრულ ხელოსანს, რომელმაც დაგვიმზადა აჭარპანი (თუმცა, არა დიყისგან).

აჭარპანის გაკეთება თავადაც ვცადე და დავამზადე კიდევ რამდენიმე საკრავი სპილენძის, ალუმინის და პლასტმასის მილებიდან. გაგიკვირდებოდათ და ისინიც აჭარპანის რეალურ უღერადობას იძლევიან. ამიტომ აღარ გამკვირვებია, როცა ძველ წყაროებში თოფის ლულისგან დამზადებული აჭარპანის შესახებ შევიტყვე.

– ცნობილია, რომ საკმაოდ რთულია აჭარპანზე შესრულება. რა ქმნის ამ სირთულეს და როგორ დაძლიეთ იგი?

– მე ვიცოდი ხმოვანება ამ ინსტრუმენტისა, თუმცა არ ვიცოდი ჩაბერვის ხერხი. ბევრი ვეცადე, რაღაც ხმაც ამოვალეზინე, მაგრამ ეს არ იყო ის, რაც საჭიროა. მოძიებულ ლიტერატურაში ფოტოზე იყო ნაჩვენები, როგორ უჭირავს შემსრულებელს ინსტრუმენტი დაკვრის დროს, აღწერილი იყო ისიც, რომ ჩაბერვის პროცესში ჩართული იყო ტუჩი, კბილი და ენა, თუმცა ფოტო უხარისხო იყო და ვერ გავარჩევდი, კონკრეტულად როგორ უნდა ჩაგებერა.

დიდი ხნის მცდელობების შედეგად, თითქმის ჩავიქნიე ხელი, მაგრამ ერთხელ ტელევიზიით ერთ-ერთ რუსულ არხზე თვალი მოვკარი მსგავს ინსტრუმენტს. ეს იყო გადაცემა ბაშკირეთის ფოლკლორზე. ერთ-ერთ ბაშკირს მსგავსი ინსტრუმენტი ეჭირა და მსგავს ხმას გამოსცემდა. ინსტრუმენტიც ისე ეკავა, როგორც იმ ფოტოზე, ზემოთ რომ ვახსენე. ყურადღებით დავაკვირდი ყველა დეტალს და კარგად დავიმახსოვრე. გადაცემის მერე ავიღე ჩემი ინსტრუმენტი და დაახლოებით ნახევარი საათის მცდელობის შემდეგ შედეგიც მივიღე. თუმცა არაერთი დღის ვარჯიში დამჭირდა, რომ მელოდიები

დაბეკრა და შემდგომ უკვე ხმაც ამეყო-
ლებინა.

– საიდან აარჩიეთ რეპერტუარი?

– აჭარპანის რეპერტუარი მაინცდამაინც
მდიდარი არ არის. სულ რამდენიმე მე-
ლოდიაა და ისინიც ერთმანეთს ჰგავს. რეპე-
რტუარი ტელე-რადიო არქივის ზემოთ ხსე-
ნებული ჩანაწერებიდან ავარჩიე.

*ჩვენი მხრიდან დაეძენთ, რომ „ანჩის-
ხატის ტაძრის გუნდის“ სოლო კონცერტზე
ლევან კეშაპიძემ შეასრულა ძველი ჩანა-
წერებიდან აღდგენილი მწვემსური დასაკრავ-
ები აჭარპანზე, რამაც დარბაზზე წარუშ-
ლელი შთაბეჭდილება მოახდინა.*

*მასალა მოამზადა და ინტერვიუ ჩაიწერა
მაკა ხარძიანმა*

ძველი პრესის ფურცლებზე ქართული სახალხო სიმღერების დღევანდელი მდგომარეობა



ზაქარია ფალიაშვილი

ქართველები ერთ-ერთ ყველაზე ნიჭი-
ერ ხალხად უნდა ჩაითვალოს სამუსიკო ხე-
ლოვნებაში. შვიდი წლის განმავლობაში და-
ვიარე საქართველოს მრავალი კუთხე: ქარ-
თლ-კახეთი, გურია, იმერეთი, რაჭა და სვა-
ნეთი. ბევრი სიმღერა გავიგონე და ჩაეწერე
კიდევ და დავრწმუნდი, რომ ჩვენი სიმღერა-
გალობის ჰანგიცა და ჰარმონიაც დიდ ინ-
ტერესს იწვევს და შესანიშნავ მასალას იბ-
ლევს მუსიკალური ლიტერატურის გასამდ-
იდრებლად.

რომელი კუთხის სიმღერებიც არ უნ-
და მოისმინოს, ყოველი საშუალოდ მომზა-
დებული მუსიკოსიც კი მაშინვე მიხვდება,
რომ ისინი ერთსა და იმავე მოდემის ხალ-
ხისაა. ჰარმონიის მხრივ, მათ შორის მეტად
მცირე განსხვავებაა, მაგრამ, რაც შეეხება
მელოდიას, ხმების მოძრაობასა და სიმკვი-
რცხლეს, თვალსაჩინოდ განირჩევიან ერთმა-
ნეთისაგან. ქართლ-კახური სიმღერები იმდენ-
ად ჰგვანან ერთმანეთს, რომ მათზე რამის
თქმა ზედმეტია. ისინი მხოლოდ სამ ჯგუფ-
ად შეიძლება დავეყოთ: პირველი არის სუფ-
რაზე სამღერი გრძელი სიმღერები, მაგ:
„გრძელი მრავალჟამიერ“, „ჩაკრულო“, „სუფ-
რული“ და სხვ. ამ სიმღერებს დინჯი და
დარბაისლური ხასიათი აქვს, მღერიან ნებ-
იერად (ad libitum) და ტაქტების დაუყოფლად.
მელოდიური მოძრაობა აქვს ორ მაღალ
ხმას. ერთი მათგანი მღერის ჰანგს, მეორე
მელოდიური რეჟიტატივით ეუბნება შაირებს,

ხოლო ბანი თითქმის სულ ერთ ადგილზეა და წარმოადგენს „საორღანო პედალს“.

მეორე ჯგუფს ეკუთვნის „მგზავრული“, „მუშური“ მკისა და თოხნის დროს და სხვა ამგვარი სიმღერები. ეს სიმღერები მუხლებად არის დაყოფილი, უფრო ცქვიტად და რიხიანად იმღერება და მეტრიც აქვთ.

მესამე ჯგუფის სიმღერები საცეკვაოა, მაგ: „ცანგალა“, „ფერხული“ და სხვა. ამ სიმღერებში, რასაკვირველია სიმკვირცხლევც მეტია და ხმის მოძრაობაც უფრო გავარჯიშებული.

სვანური სიმღერები სიღინჯით და წყობით ძალიან ჩამოჰგავს ქართლ-კახურ სიმღერებს, თუმცა, სვანები და ქართლ-კახელი ძლიერ დაშორებულნი არიან ერთიმეორეს. განსხვავება იმაშია, რომ სვანურ ხმებს ქართლ-კახურთან შედარებით, დარბაისლური ელფერი ნაკლებად აქვთ; სიმღერებიც უფრო მოკლეა, მუხლებად დაყოფილი და, უმეტესად, სხვადასხვა წმინდანების ქება-დიდებაზე დამყარებული. მაგ: წმ. გიორგისა (ჯგრაგ), მთავარანგელოზისა (დიდება თარინგზელარს), თამარ მეფისა და სხვა. გადაჭარბებული არ იქნება, შევნიშნო, რომ სვანური სიმღერა „ზარი“ სხვა კუთხეებში მიღებულ „ზარებს“ შორის ერთ-ერთ საუკეთესო ჰანგად უნდა ჩაითვალოს. საცეკვაო სიმღერაც ბევრი აქვთ სვანებს.

რაჭული სიმღერების ერთი ნაწილი ცოტათი ჩამოჰგავს ქართლ-კახურს, მეორე კი – იმერულს. რაჭაში აღსანიშნავია „მესტვირეების“ ხელოვნება, როგორც თვით საკრავი სტვირი, ისე ის ორიგინალური და თავისებური ჰანგები, რომლებსაც ამ სტვირზე მღერიან.

რაც შეეხება გურულ-იმერულ სიმღერებს, ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. ყველა სიმღერა ცქვიტი და მგზავრულის ხასიათისაა. იშვიათად შეხვდებით იქ დინჯ სიმღერას. ამას გარდა, ისინი განირჩევიან სხვა კუთხეების სიმღერებისაგან იმით, რომ აქ სამივე ხმას თავისი მელოდიური მოძრაობა აქვს. იშვიათი შემთხვევაა, რომ ბანი ერთხანს მაინც გაჩერდეს ადგილზე. მთელი სიმღერა „პოლიფონიურობაზედაა“ დამყარებული. მე ერთი გურული „ხელხვაი“ მაქვს ჩაწერილი, რომლის ერთ ადგილზე ისე მოხერხებულადაა შეხავებული ორი სრულიად სხვადასხვა ხასიათის თემა, რომ თვალწინ დაგიდგებათ ბახის ფუგის თემები და ყოველ ევროპელ მუსიკოსს ალტაცებაში მოიყვანს და დაარწმუნებს, რომ ქართველი ხალხი დიდად დახელოვნებული ყოფილა მუსიკალურ ხელოვნებაში, რომ ამისთანა რთული და, ამასთან, ორიგინალური სიმღე-

რები შეუქმნია. ამას გარდა, გურულ-იმერულ სიმღერებში შესანიშნავია მაღალ ხმაში „კრიმანჭული“, რომლის სიმღერასაც ვერცერთი ევროპელი მომღერალი ვერ შეძლებს, თუ არა ისევე გურული ან იმერელი. ეს კრიმანჭული თავისებური მელოდიური „ფიგურაციაა“ და, სხვათა შორის, წარმოადგენს დიდ დამახასიათებელ თვისებას გურულ-იმერული სიმღერებისას.

მაშასადამე, ქართველ ხალხზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მას საკუთარი მუსიკაც აქვს, ნიჭის პატრონიც არის და კარგი ხმებიც მოეპოვება. კარგი ხმა ჩვენში ძალიან ბევრია, რადგან ბუნების სიმდიდრით და მდებარეობით ჩვენ იმავე პირობებში ვართ, რაშიც სამხრეთ იტალია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იტალიელი ხალხი დიდ მნიშვნელობას აძლევს მუსიკას ცხოვრებაში, ჩვენ კი მას აინუნშიც კი არ ვაგდებთ. ამის გამოა, რომ ასობით და ათასობით იკარგება ჩვენში კარგი ხმა, ნიჭი და ტალანტი, რომელთაც შეეძლოთ სარგებლობა მოეტანათ ჩვენი მუსიკალური ხელოვნებისათვის. ეს იმის ბრალია, რომ ჯერ ჩვენი სიმღერები არ შეკრებილა და დამუშავებულა. ამას გარდა, ევროპელ მუსიკოსებს იგი ჯერჯერობით არ აინტერესებთ, რადგან ყოველგვარი ხალხური სიმღერები და, განსაკუთრებით, ქართული, ევროპული თეორიის კანონებს ეწინააღმდეგება. მთელს დედამიწაზე მუსიკის დამყარებიდან ყოფილა და ახლაც არსებობს ერთგვარი სწავლა მუსიკის თეორიის კანონებისა. ყველა მუსიკოსს, დიდს თუ პატარას, მუსიკა ამ თეორიის შემწვობით შეუსწავლია და ამ სკოლას არ ასცილებია, სმენა შესისხლხორცებული აქვს მასზედ და რა გასაკვირია, რომ ამ კანონების წინააღმდეგი რაიმე ჰარმონიული „კომბინაციის“ გაგონების დროს ყურები ცქვიტოს და შეცდომად ჩათვალოს იგი. მე დარწმუნებული ვარ, ეს მუსიკოსები რომ გაირჯებოდნენ, შეისწავლიდნენ ხალხური სიმღერის თავისებურებებს და მეცნიერულად გამოიკვლევდნენ მათ, შეიძლება შემდგარიყო მუსიკის თეორიის ახალი კანონები და სამუსიკო ხელოვნებასაც ახალი ხანა დასდგომოდა.

ზაქარია ფალიაშვილი
ჟურნალი „ამირანი“, 1908წ., №150

ერთი ჟანრის შესახებ
ქართული საქორწილო ჟანრის
მუსიკა



თეონა რუსაძე

ქორწინება ოდითგანვე ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იყო მიჩნეული. საქორწილო რიტუალი, რომელსაც დრმა ფესვები გააჩნია, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. დროთა ვითარებაში იგი მრავალნაწილიან თეატრალიზებულ სანახაობად იქცა. ტრადიციულ მუსიკას მასში ზეპირსიტყვიერებასთან, ქორეოგრაფიასა და თეატრალურ სანახაობასთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

ქართული ტრადიციული ქორწილის თანმხლებ რეპერტუარში მთავარი ადგილი უჭირავს „მაყრულს“, რომელიც წარმოადგენს, ერთი მხრივ, მაყრიონის მიერ შესასრულებელ ერთ კონკრეტულ სიმღერას, მეორე მხრივ კი, აერთიანებს საქორწილო ციკლთან დაკავშირებულ, ფუნქციურად საქორწილო ყველა ნიმუშს, რომლებიც სრულდება პატარძლის სახლიდან წამოყვანისას, გზაში მაყრიონის მსვლელობისას და პატარძლის ახალ ოჯახში შეყვანისას.

სახელწოდება „მაყრული“ მომდინარეობს არაბული სიტყვისგან „მაყარი“. ეს სიტყვა, ისევე, როგორც ქართულში, არაბულშიც მეფე-დედოფლის მხლებელ ახალგაზრდობას აღნიშნავს.

საქართველოში ყველაზე ფართოდ გავრცელებულია „მეზავრულის“ ტიპის ოთხწილადი „მაყრულები“. ისინი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მუსიკალურ დიალექტებში – ქართლ-კახურში და ყველა დასავლურქართულ დიალექტში – სვანურში, რაჭულში, ლეჩხუმურში, იმერულში, მეგრულში, გურულსა და აჭარულში.

შესრულების სპეციფიკიდან გამომდინარე, ოთხწილადი „მაყრულები“ მეზავრული სიმღერების მუსიკალურ ნიშან-თვისებებს ატარებს. მხნე ხასიათი, აქცენტირებული მეტრიკა, პუნქტირული და მარშისებური რიტმები – ეს ამ სიმღერების ზოგადი მახასიათებლებია. ასევე, ზოგად მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ შესრულების ორპირული ფორმა, რომელშიც თითოეული მუხლის დასასრული ახალი მუხლის დასაწყისს ემთხვევა.

ოთხწილადი, მეზავრულის ტიპის მაყრულების გარდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, კერძოდ თუშეთში, ერწო-თიანეთში, ქართლსა და რაჭაში გავრცელებულია სამწილადი, საფერხულო წყობის „მაყრულები“. ქართლში კი გვხვდება ამ ჟანრის თავისუფალმეტრიანი, სუფრულის ტიპის ნიმუშებიც.

როგორც ოთხ-, ისე სამწილადი და თავისუფალმეტრიანი „მაყრულები“ სამხმინია, გამონაკლისი ამ მხრივ მხოლოდ აჭარაა, სადაც დაფიქსირებულია ამ ჟანრის ორხმინიანი ნიმუშებიც. მრავალხმინობის ტიპს, თითოეულ შემთხვევაში კუთვნილი მუსიკალური დიალექტის თავისებურებები განაპირობებს. განსხვავებების მიუხედავად, არც თუ იშვიათად, იგრძნობა სხვადასხვა დიალექტური „მაყრულების“ საერთო ინტონაციური საფუძველი.

მაყრული სიმღერების ვერბალური ტექსტი მოიცავს როგორც გლოსოლოკალებს, ისე შინაარსიან, მეტწილად საქორწილო, უფრო ნაკლებად კი, სამონადირეო, სუფრული თუ სახუმარო თემატიკის ლექსებს.

საკუთრივ სახელწოდება „მაყრულის“ გარდა, ამ სიმღერებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ზოგჯერ სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ. მაგალითად: სვანეთში მას ხშირად „ორი ოხოს“ ეძახიან, აჭარაში „ორირას“ ან „დედოფლის სიმღერას“, სამეგრელოში კი „კუნხა ბედინერს“.

მაყრულების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა უთანხლებოა, თუმცა, გამონაკლისის სახით, არსებობს მათი საკრავიერი ჰანგები, ან საკრავზე დამღერების შემთხვევები.

ფუნქციურად მაყრულ სიმღერებს განეკუთვნება და საქორწილო რიტუალში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კერის გარშემოვლისას სათქმელი სიმღერა „ჯვარი წინასა“. მას მექორწილენი მეფე-დედოფლის კერის გარშემოტარებისას ასრულებდნენ. კერა ტრადიციული ქართული სახლის სტრუქტურაში ის ადგილი იყო, სადაც ოჯახის-

თვის ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალები სრულდებოდა.

„ჯვარი წინასას“ გავრცელების არეალი ფაქტობრივად მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს. რაც შეეხება დასავლეთის კუთხეებს, ამ სიმღერის არსებობა აქ ზეპირსიტყვიერი ცნობებით მხოლოდ რაჭაში დასტურდება.

აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – ფშავში, მთიულეთში, გუდამაყარში, ერწო-თიანეთში, ქართლსა და კახეთში ჩაწერილი, კერის გარშემოვლისას სათქმელი საქორწილო სიმღერების ინტონაციური საფუძველი აშკარად ერთია, მათ შორის სხვაობებს კუთვნილი დიალექტების თავისებურებები განაპირობებს. არსებობს ამ ნიმუშების როგორც ორი, ისე სამხმიანი ვარიანტები. თავისი ფუნქციით კერის გარშემოვლისას სათქმელ „ჯვარი წინასებს“ ჰგავს მოხეური „ჯვარულიც“:

„მაყრულებისა“ და „ჯვარი წინასების“ გარდა, დღემდე შემორჩენილი ზოგიერთი სიმღერითა და ეთნოგრაფიული ცნობით, ქართულ ქორწილში სხვა, ფუნქციურად საქორწილო სიმღერების შესრულებაც დასტურდება. ამგვარ ნიმუშებს შორისაა აჭარული „ვინ მოგიტანა“ და „გელინო“, ქართლ-კახური და მესხური „მეფის დალოცვები“, სვანური „სადამი“, ხევსურული „ქორწილის სამღერალი“ და სხვ. ჩვენებურ ქორწილს ახლდა ფერხულებიც (ზოგჯერ თეატრალურ სანახაობად ქცეული), სხვადასხვა სახის თამაშობები. სპეციალური მუსიკალური რეპერტუარი სრულდებოდა ქორწილის მომდევნო დღეებში, საფლავების კურთხევისა და მეფის განადირების დროსაც. ქორწილში ჟღერდა საკრავიერი მუსიკაც. მოკლედ, ყველა წყარო მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ტრადიციული ქორწილის რიტუალური და მუსიკალური მხარეები განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

საქორწილო ღვინის მთავარი ელემენტი, ქართული ყოფის განუყოფელი ნაწილი – სუფრა, ბუნებრივია, სუფრული სიმღერებით იქნებოდა დამშვენებული. ცნობილია, რომ არცერთი ქართული საღვინო სუფრა და, მათ შორის, პირველ რიგში, ქორწილი, ამ სიმღერების გარეშე არ ჩაივლიდა; ამ მხრივ, პირველ რიგში „მრავალჟამიერებია“ აღსანიშნავი (თუმცა, როგორც ცნობილია, ქართულ სუფრაზე სხვა ჟანრის სიმღერებსაც ხშირად ასრულებდნენ). იგივე შეიძლება ითქვას საქორწილო საგალობლებზე, რომლებიც, ტრადიციულად, ჯვრისწერისას და სუფრაზე სრულდებოდა: „შენ ხარ გენახი“, „მადლობელი ვარ“, „ისაია მხიარული იყავ“, „ქორწილი წმიდა არს“, „წმიდანო მოწამენო“, „მოსვლისა შენისა“, „გვირგვინი მკლავმან ძლიერმან დაგადგა“ და სხვა.

რ. ხუნდაძე წერდა: „ქორწილი და ნადიმი ნახევარ ღოცვას წარმოადგენდა; რომელ ქორწილსაც გალობა არ ამკობდა, ის ქორწილი უმნიშვნელო იყო“.

თანამედროვე ქართული ქორწილი მკვეთრად განსხვავდება ტრადიციული საქორწილო რიტუალისაგან, როგორც წეს-ჩვეულებებით, ისე მუსიკალური ენით. დღესდღეობით საქორწილო სიმღერების შესრულების ძირითადი ადგილი სცენაა, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, „მაყრულების“ შესრულება ახლანდელ ქორწილებშიც ფიქსირდება. როგორც ჩანს, ამ ტენდენციის გაჩენას, ბოლო ათწლეულებში, ქართველთა ეროვნულ ცნობიერებაში მომხდარმა ცვლილებებმა შეუწყო ხელი.

თეონა რუხაძე

*ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის
დოქტორი*

ჯვარის წინასა

♩=77

I გუნდი

ჯვა-რი ნი - ნა - სა ჯვა - რი ნი - ნა - სა

სა ჯვა - რი ნი - ნა - სა

II გუნდი

ჯვა-რი ნი - ნა - სა ჯვა - რი ნი - ნა - სა

ნი - ნა - სა ჯვა - რი ნი - ნა - სა

I გუნდი

ხმა - ლი ნი - ნა - სა ხმა - ლი ნი - ნა - სა

ნი - ნა - სა ხმა - ლი ნი - ნა - სა

II გუნდი

ხმა - ლი ნი - ნა - სა ხმა - ლი ნი - ნა - სა

ი ნი - ნა - სა ხმა - ლი ნი - ნა - სა

შენ ქრისტე ღმერთო
დასწერე ჯვარი
ამათ ყოილთა
ოქროს ჯვართა

რედაქტორი:
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მაკა ხარძიანი
ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2015

eISSN 1512 – 228X

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი,
0108, გრიბოედოვის ქ. №8/10

ტელ: 995/32/998 953 ფაქსი: 995/32/987 187

E mail: polyphony@conservatoire.edu.ge;

www.polyphony.ge